კვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი | ყოველკვირეული გაზეთი | მეთორმეტე

№ 21 | **კვირა, 22 ივნისი 1903 წ.** | **№ 21**

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ეთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სპიორის ქუჩაზე, № 35. **ტელეფონი № 734.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

შინაარსი: რევოლიუცია სერბიაში, რ. ა.-სი.—ოპპორტუნიზმი და მისი ქართველი მოტრფიალე, ლ. ნ.-სი.—მიხეილ ფილიპოვი, რ. ა.—სი.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.— რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.— ძიძა (მოთხრობა), ნ. ნაკაშიძისა.—წერილი რკინის გზიდან, ოქრუაშვილისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—„კვალის“ ფოსტა.

რედაქცია ბოდიშს იხდის ხელის-მომწერთა წინაშე, რომ ზოგიერთა შინაური მიზეზების გამო წარსული სამი კვირის განმავლობაში გაზეთის გამოცემა შეწვეტილი იყო. დანაკლის ოთხ ნომერს რედაქცია შეუვსებს ხელის მომწერლებს წლის დამლეგამდე.

რევოლიუცია სერბიაში

ბევრი ცვლილება მოხდა ამ ერთი თვის განმავლობაში ევროპის ცხოვრებაში, ბევრი საუცხოო და თითქმის მოულოდნელი სიურპრიზები გვიძღვნა მღელვარე ზღვამ პოლიტიკურ ბრძოლისა. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მოვლენა, რომელმაც მიიპყრო მთელი ევროპის ყურადღება და რომელიც აგერ თვის განმავლობაში გაუწყვეტლივ ალაპარაკებს პრესას, არის სერბიის მეფე-დედოფლის, ალექსანდრე და დრაგას მოკვლა. გაზეთები ასე გადმოგვცემენ მკვლელობის ტრაგიკულ ამბავს. 28 მაისს ღამით, თორმეტ საათზე რამდენიმე ოფიცერი მიშიჩის წინამძღოლობით შეცვივდენ სასახლეში ბ მოთხოვეს მეფეს უარეყო მეფობა კარაგეორგიევიჩის სასარგებლოთ. როცა უარი მიიღეს, მათ მოკლეს მეფე-დედოფალი და მისი თითქმის ყველა მომხრეები, რომელნიც კი მეფეს გამოესარჩლენ. საერთო შეტაკების დროს მეფის გვარდიასთან დაიხოცა 300-მდე კაცი. მეორე დღეს მეფის მკვლელებმა აუწყეს ქვეყანას იმღამინდელი ამბავი და შეუდგენ ახალი დროებითი მთავრობის შედგენას. ხალხი გულ-გრილათ შეხვდა მეფე-დედოფლის სიკვდილს. ამ ნაირათ, როგორც ხედავთ, რევოლიუცია მოუხდენია თვითონ ჯარს ხოლო ხალხს მასში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ასე რომ ერთი შეხედვით ეს მოვლენა საშვალო საუკუნის ინტრიგებს მოგვაგონებს, როცა მეფის მახლობელი პირები ერთი მეორეს ეცილებოდენ სამეფო ტახტს, და ამისთვის ჯარის ერთ ნაწილს იმხრობდენ. ამაში კიდევ უფრო რწმუნდებით, როცა მხედველობაში იღებთ, რომ მხედრობამ მოთხოვა მეფეს ტახტის დათმობა ძველ კარაგეორგიევიჩთა დინასტიის წარმომადგენლის პეტრეს სასარგებლოთ. ამ ნაირათ იგი თითქო შემთხვევითი მოვლენაა, რომელსაც არსებითათ არავითარი კავშირი არა აქვს ხალხის სოციალურ ცხოვრებასთან. მარა თუ დავაკვირდებით ზოგიერთ მოვლენათ, რომელნიც მოყვენ ამ ტრაგიკულ ღამეს, მაშინ სულ სხვას დავინახავთ. მაშინ დავრწმუნდებით, რომ ობრენოვიჩთა მეფობას მაინც უკანასკნელი დღე უდგა და თუ არა ჯარს, ხალხის მსჯავრს მაინც ვერ გადურჩებოდა. ეს მზადდებოდა ნელ-ნელა რამდენიმე წლის განმავლობაში. ამას გრძნობდენ და მოელოდენ ყველა შორს გამჭვრეტელი პირები, რომელნიც კი სერბიის პოლიტიკურ ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდენ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ხალხის გულში დიდი ხანია ფეხს იდგამდა და ვითარდებოდა უკმაყოფილება ობრენოვიჩთა მეფობით და არც უმიზეზოთ; „უკანასკნელი ათი წელი უკანასკნელ ობრენოვიჩის მეფობისა, სწერს ერთი ბელგრადელი (ბელგრადი) (სატახტო ქალაქია სერბიისა) გაზეთი,—ეს სრული თვითნებობისა ბ მთელ რიგ უკანონობათა ხანა იყო“. ეს იყო წლები კონსტიტუციონურ კანონების ერთი მეორეზე მოსპობისა, პრესის თავისუფლების შეზღუდვისა, თავისუფალ მოქალაქეთა ადმინისტრაციის აპეკის ქვეშ ჩაყენებისა და რა გასაკვირველია, რომ ამდენ უსამართლობას ტრაგიკული ბოლო მოყოლოდა? ახლა ყველა შეგნებულ პირს ესმის, რომ ბოროტებასაც თავის საზღვარი აქვს. ახლა ყველა შეგნებულ ერებს მტკიცეთ აქვთ შეთვისებული, რომ ერის უფლების შეზღუდვა, მისი თვითმოქმედების შესუსტება—ერის სიკვდილია, და რომ ასეთი ბოროტების ჩამდენს ბოლო კეთილი არ მოელის. მხოლოდ ობრენოვიჩს სულ წინააღმდეგი ეგონა. ის არ დაგიდევდა ხალხის ინტერესებს. თავის უფლების გაფართოვების გულისთვის, ის ყოველ ჯვარ უსამართლოებას სჩადიოდა, ყოველ-ჯვარ შეეიწროებას აყენებდა ტანჯულ სერბიის ერს. ეს აშკარა შეიქნება, თუ გავიხსენებთ უკანასკნელ ობრენოვიჩის მოქმედებას ამ ბოლო წლებში. 1891 წლ. კონსტიტუციაც კი, რომელიც ბევრათ სუსტი და მკრთალი იყო 1888 წ. შემოღებულ წესებთან შედარებით, თვითნებობის მოყვარე ობრენოვიჩს მეტის-მეტათ ლიბერალური ეჩვენებოდა. ის ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მის ყოველ განკარგულებას სიტყვის შეუბრუნებლათ არ იღებდენ. განსაკუთრებით ეჯავრებოდა მას „საზიზღარი“ რადიკალები, რომელთაც დიდი გავლენა ქონდათ ხალხში მოპოვებული და მუდამ კრიჭაში უდგენ მეფის მოქმედებას, ფრთებს აკვეცდენ მის თვითნებობით ფარფაშობას. და აი სკუპშჩინიდან (ხალხის წარმომადგე-

ნელთა კრება სერბიაში) მათ გასადევნათ მეფე თავის ნებით ერთი მეორეზე ცვლის საარჩევნო კანონებს; ხალხზე მათი გავლენის შესამცირებლათ სასტიკ ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ აყენებს პრესას, იღებს მათ წინააღმდეგ სხვა-და-სხვა სასტიკ ზომებს და სხვ. ამ ნაირათ გაიქელა ერის წმიდა უფლებები, შეიზღუდა თავისუფლება პრესის, დამცირებულ იქნა მოქალაქეთა ადამიანური ღირსება, შეილახა ხალხის წმიდათა-წმიდა. ყველგან და ყველაფერში გაბატონდა ბიუროკრატია, გამეფდა ადმინისტრაციის სრული თვითნებობა. „თვალს არ უჯერი, მოგვითხრობს ერთი სერბიული გაზეთი, როცა კითხულობ მას, რაც გუშინ თვითონვე დაგიწერია, იმდენათ შიშის ზარი დაგვცა სასტიკმა ტირანიამ, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში სუფევდა... სერბიის ხალხს წაართვეს ყოველივე უფლება. სერბის სიცოცხლე პირუტყვის სიცოცხლეზე უფრო იაფათ ფასობდა. ბევრმა გამოსცადა მწარე, მტანჯველი გრძნობა პიროვნებას თავისუფლების უზრუნველუყოფელობისა. საღამოზე არავინ იცოდა ცოცხალი შეხვდებოდა თუ არა ხვალინდელ დღეს. სერბის სიცოცხლის და ქონების შეუხებლობა არაფრით არ იყო დაცული. ხვალ შეიძლებოდა ერთსაც და მეორესაც გამოსალმებოდა“.

მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. თვითნება მთავრობა კონსტიტუციონურ კანონების შეზღუდვის და შეცვლის შემდეგ თავის ნებაზე განაგებდა ქვეყანას. ცინცარ-მარკოვიჩი, ალექსანდრე ობრენოვიჩისაგან მოწვეული პირველ მინისტრათ, სასტიკათ სდევნიდა ყოველ ფხიზელ აზრს, ყველა თავისუფლების მოტრფიალეს. „ამ გენერალის (ცინცარ-მარკოვიჩის) მართველობის დროს, სწერდა გაზეთი „ზასტავა“, ჯერ კიდევ მეფის მოკვლამდი, ოციოდე უმანკო მსხვერპლი მიიბარა ცივმა სამარემ. ბელგრადის ქუჩებზე დანთხეული უმანკო სისხლი სერბის ბავშვებისა სამუდამო ჩირქათ ეცხება სერბიის ახლანდელ მართველობას. როგორც ძველ სერბიის მცხოვრებთ და მაკედონელებს ყავთ, «მულა ზეიკოვები და ბოლოტინცევები», ისე სერბიის სამეფოს ყავს მთავრობა, რომელიც კლავს ხალხს ზნეობრივათ და უკარგავს რწმენას მომავლისას. სერბიის მდგომარეობის აღწერა შეუძლებელია. ხალხის ტანჯვა წამება ნათლათ მოგვაგონებს იმ დროს, როცა ოსმალნი ცხენების ფეხებით თქვეფდენ სერბიელთა სისხლს.«ამ გენერლის»მთავრობა და მისი უღირსი თანამოაზრენი ყოველ-გვარ უკანონობას სჩადიან სრულიად მოურიდებლათ და ცდილობენ, რომ ხალხი ლეგალური პროტესტიდან არა-ლეგალურ მოქმედებაზე გადაიყვანონ. ეს მართველობა კი არაა, ეს ყაჩაღთა ბრბოა, რომელსაც ხელთ უგდია უფლება და ფეხ ქვეშ თელავს ხალხის წმიდა უფლებებს და ყველა კანონებს». ამ ნაირი მოქმედებით ითესებოდა ხალხის გულში ანტიპატია და სიძულვილი მეფისადმი. თავდაპირველათ ყრუ უკმაყოფილება, მალე ქუჩაზე იქნა გამოტანილი და საჯაროთ აღიარებული. მაგრამ კოროლი ამაზე ყურს არ იბერტყდა, უფრო სასტიკ ზომებს იღებდა მათ წინააღმდეგ და განაგრძობდა ხალხის უფლებათა შეზღუდვის საქმეს. ამ ნაირათ მას და ხალხს შორის გაჩნდა უფსკრული და ეს უფსკრული თან-და-თან იზრდებოდა. მალე მეფის თვით-ნებობამ უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. ამ წლის 24 მარტს მეფის პროკლამაციამ აუწყა სერბიის ხალხს, რომ მათი ნაციონალური კეთილდღეობისთვის, სახელმწიფოს მტკიცე ნიადაგზე დაყენებისთვის, ის საჭიროთ სცნობს კონსტიტუციის სრულ შეცვლას და შეუზღუდველი მონარხიის შემოღებას. ამ ნაირათ ხალხს ერთმეოდა ის, რაც მან ბრძოლით მოიპოვა, იმარხებოდა თავისუფლება, რომლისთვისაც მან სისხლი დაღვარა. ხალხი მეტათ ააღელვა ასეთმა განკარგულებამ და მეფის პროკლამაციაზე მან უპასუხა გრანდიოზული მანიფესტაციით, რომლითაც თხოულობდა კონსტიტუციის აღდგენას. გამოწვეულმა ჯარმა, მე-6 და მე-7 რაზმმა, უარი განაცხადა ხალხის წინააღმდეგ მოქმედებაზე, რადგან ხალხი თავის წმიდა უფლებებს იცავდა. მეფე იძულებული შეიქნა თავის პროკლამაცია უკანვე წაეღო. ამ დროიდან იწყება მისი დაცემის ხანა. მან მოინდომა ურჩი რაზმების დაშლა, მარა ვერ გაბედა: ცეცხლის უარესათ გაძლიერებისა შეეშინდა. ხალხი მეტათ აღელვებული იყო. ასე მზადდებოდა ნიადაგი 28 მაისისთვის. ერთხელვე თავისუფლებას შეჩვეული ხალხი ვერ ითმენდა გაბატონებულ თვითნებობას. გუშინდელი თავისუფალი მოქალაქე ვერ შერიგებოდა დღეს უუფლებო მონათ გახდომას. გუშინ ის ყველაფერი იყო, დღეს კი არაფერი, გუშინ ის თვითონ განაგებდა თავის თავს, დღეს კი უბრალო ნივთი, საქონელი გახდა, კოროლის საბურთაო იარაღათ გადიქცა. დამორჩილება ბედისა წარმოუდგენელი იყო. მასში ბუნებრივათ ვითარდებოდა დაუძლეველი მტკიცე სურვილი თვითნებობის მძიმე ბორკილის დამსხვრევისა, დაკარგულ უფლებათა აღდგენისა, თავისუფლების დაბრუნებისა. მეფე კი სულ სხვა აზრს ადგა. მას სრულიადაც არ სურდა ხალხისთვის დაეთმო, ხალხის ხმას დამორჩილებოდა, მისი ინტერესები მხედველობაში მიეღო, მისი ნებით ეხელმძღვანელა. მას გადაწყვეტილი ქონდა განუსაზღვრელი თვითნებობით ემეფა. და აი ამ ორ აზრს, ორ მიმართულებას შორის ასტყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. პირველის წარმომადგენელი იყო ხალხი, მეორის მეფე. ცხადი იყო ისინი ერთათ ვერ მოთავსდებოდენ. ორში ერთი უნდა ყოფილიყო: ან ხალხი—ან მეფე. ვინ გაიმარჯვებდა?.... ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო ის, რაც 28 მაისის ღამეს მოხდა. ადრე თუ მალე აივსებოდა საწყაული ხალხის მოთმინებისა და თვითნებობას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ 28 მაისმა დაასწრო... ზოგიერთმა შემთხვევებმა დააჩქარეს კონფლიქტის მოახლოვება. მეფეს შვილი არ ყავდა და უნდოდა თავის მემკვიდრეთ დედოფლის ძმა გამოეცხადებია. ამ მიზნით ის სკუპშჩინაში არჩევნების დროს ყოველ ღონეს ხმარობდა თავის მომხრეები გაეყვანა, რასაც კიდეც მიაღწია. ეს კი ჯარში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვენ მე 6-ე და 7-ე როტები, რომლებმაც მოახდინეს 28 მაისს ტრაგედია. ამბობენ მეფეს მეორე დღეს უნდოდა ახალი მემკვიდრის გამოცხადებაო. ხალხს არ მოსწონდა ობრენოვიჩი, არც მისი მოქმედება, ამიტომ ის გულგრილათ და სრულად დამშვიდებული მიეგება მეფის მოკვლის ამბავს. არავის თვალთაგან ცრემლი არ გადმოვარდნია. იგი იმ შემთხვევაში გარეშე მაყურებელი იყო. ერთი ბატონის მეორით შეცვლას მისთვის არაფერი ახალის მოტანა არ შეეძლო. ამით აიხსნება ის, რომ დროებითი მართველობის შესადგენათ ჯარის კაცთ ძალით დაჭირდათ მინისტრების ნებაზე დაყოლება: მაგ. ჟივკოვიჩს აფიცრებმა მოახსენეს მეფის მოკვლის შესახებ და სთხოვეს იუსტიციის მინისტრობა ეკისრა. როცა მან უარი განაცხადა, ლეიტენანტები მოუღირეს და ძალა-უნებურათ სამინისტროში წაიყვანეს. ასევე მოწვეულ იქნა მინისტრ-პრეზიდენტი ავაკუმოვიჩი, რომელიც მეფის მოკვლის მეორე დღეს დაბრუნდა ბელგრადში. მას შეხვდენ ვოგზალზე და ლეიტენანტებით თანხმობა აიქმევიეს პრეზიდენტობაზე. ამნაირათ შედგა დროებითი მართველობა, რომელიც მაშინვე შეუდგა სამეფოს საქმეთა მოწესრიგებას. ჯარს მტკიცეთ გადაწყვეტილი ქონდა სამეფო მართვა-გამგეობის ფორმა არ შეცვლილიყო. ამიტომ მან თითქმის ძალათ მიაღებინა დროებით სამართველოს ისევ მონარხიის დატოვება. როცა კენჭის ყრის დროს ერთი ხმა რესპუბლიკის სასარგებლოთ ამოვიდა, აფიცრები მიცვივდენ ჟივკოვიჩს და ლეიტენანტით თავზე დადგომილი ეკითხებოდენ: თქვი, რა გირჩევნია, რესპუბლიკა თუ სიცოცხ-

ლეო. მინისტრმა ისევ სიცოცხლე არჩია. პირველათ ყოველისა აღადგინეს 1891 წლ. კონსტიტუცია და შემდეგ მოიწვიეს სკუპშჩინა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი მეფის არჩევის შესახებ. ამ წუთიდან ხალხიც მეტი ყურადღებით ეპყრობა მის გარშემო დატრიალებულ ამბებს. მიუხედავათ გადაუღებელ წვიმისა აუარებელი ხალხი მოაწყდა იმ სახლს, სადაც სკუპშჩინა შეიკრიბა, მაგრამ ჯარმა გარეკა ხალხი და თვითონ შემოერტყა გარს საკრებულო შენობას. ხალხმა თავის წარმომადგენლების (სკუპშჩინის) პირით აცხადებდა, რომ ის არავითარ სარგებლობას არ ხედავს ერთი მეფის მეორით შეცვლაში, თუ ძირითადი ცვლილება არ მოხდება სახელმწიფო მართვა გამგეობაში. ის თხოულობდა რესპუბლიკას. რესპუბლიკის მომხრე იყო მთელი პრესა. რესპუბლიკის სასარგებლოთ მთელი დემონსტრაცია გამართეს ბუდაპეშტში იქაურ სერბებმა სერბიის საელჩოს წინ. გაისმოდა ძახილი: „ძირს მეფის მკვლელნი! გაუმარჯოს რესპუბლიკას“!.. ჯარი კი მოახრე იყო მონარხიისა. ამნაირათ დაიწყო ბრძოლა ხალხისა და ჯარის შორის, რომელიც კომპრომისით დამთავრდა. სკუპშჩინამ დაუთმო რესპუბლიკა და მიიღო მონარხია, სამაგიეროთ მოითხოვა აღდგენა 1888 წლ. კონსტიტუციისა, ზოგიერთი ცვლილებებით: ჯარი და ბიუჯეტი სკუპშჩინის გამგეობაში უნდა ყოფილიყო. ცხადია, რაკი ეს ორი უმთავრესი ძალა ჩამოერთმეოდა მეფეს, ის მხოლოდ ნომინალური მმართველი დარჩებოდა, მხოლოდ მეფის წოდება ექნებოდა, ნამდვილათ-კი ქვეყნის ბედიღლის გადამწყვეტი სკუპშჩინა შეიქნებოდა. მარა მონარხისტები არ დაეთანხმენ ასეთ ცვლილებას და ჯარი ისევ მეფის მორჩილებაში დარჩა. სკუპშჩინამ ერთხმათ აირჩია მეფეთ პეტრე კარაგეორგიევიჩი და გადაწყვიტა ჯერ შეცვლილიყო კონსტიტუციის ზოგი მუხლები და მხოლოდ შემდეგ მიეღო ფიცი მეფეს. პეტრე კარაგეორგიევიჩს გაუგზავნეს დეპუტაცია ჟენევაში (შვეიცარიაში), სადაც ის ცხოვრობდა სამშობლოდან განდევნილი. კონსტიტუცია 1888 წლისა, რომელიც შემოიღო სკუპშჩინამ მცირე ცვლილებით, ბევრით უფრო ლიბერალურია 1891 წლის კონსტიტუციაზე. მოგვყავს უმთავრესი მუხლები ამ კონსტიტუციისა შეცვლილი რედაქციით: საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის მეცეს და ხალხის წარმომადგენლობას ერთათ. ინიციატივის უფლება აქვს მეფესაც და ხალხის წარმომადგენლებსაც. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის მეფეს, რომელსაც სისრულეში მოყავს ეს უფლება მინისტრების საშუალებით. მინისტრები როგორც კერძოთ ისე კოლლექტიურათ პასუხის მგებელია ნაციის წინ. მინისტრებს ნიშნავს და სცვლის მეფე. მეფე ნიშნავს ყველა თანამდებობის პირთ; იგი ჯარის მთავარ-სარდალია და სამეფოს წარმომადგენელი საერთაშორისო დამოკიდებულებაში; მეფე მოვალეა შეატყობინოს ხალხის წარმომადგენელთ, თუ რა შედეგი მოსდევს მის გარეშე პოლიტიკას; სკუპშჩინის მორიგდა საგანგებო კრებას იწვევს მეფე; სკუპშჩინის დამთხოვიც მეფე არის, მაგრამ იგი მოვალეა ორი თვის განმავლობაში დანიშნოს ახალი არჩევნები. მეფის ბრძანება რომ ძალაში შევიდეს, იგი უთუოთ სათანადო მინისტრისგან უნდა იქნეს ხელმოწერილი.

სკუპშჩინა არის ხალხის წარმომადგენლობა. სკუპშჩინა არის ჩვეულებრივი და დიდი. იგი შესდგება ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებისაგან; არჩევანი ხდება ბიულეტენებით. ყოველი ოლქი ირჩევს თითო წარმომადგენელს 4,500 გადამხდელ მცხოვრებზე. თვითეული სერბს 21 წლის შესრულების შემდეგ უფლება აქვს არჩევნებში მონაწილეობის, თუ ის 15 დინარს (დინარი—25 კაპ.) სახელმწიფო გადასახადს იხდის. სკუპშჩინაში შეიძლება არჩეულ იქნეს ყველა სერბი ოცდაათის წლის მეტისა და 30 დინარის ან მეტის გადამხდელი წლიურათ. ჩვეულებრივი საკანონმდებლო ხანა სკუპშჩინისა უდრის სამ წელს. სკუპშჩინის გადაწყვეტილება რომ კანონიერი იქნეს, საჭიროა ყველა დეპუტატების ნახევარის და კიდევ ერთ დეპუტატის დასწრება; თუ ხმები თანასწორათ გადანაწილდა, დგენილი წინადადება უარყოფილათ ითვლება.

კანონ-პროექტის განხილვა იწყება სკუპშჩინაში მას შემდეგ, რაკა სახელმწიფო საბჭო განიხილავს და თავის აზრს გამოსცემს; მხოლოთ ხარჯთ-აღრიცხვა და ჩვეულებრივი საფინანსო პროექტები შედის პირდაპირ სკუპჩინაში განსახილველათ. სკუპშჩინის ნება დაურთველათ არ შეიძლება არც გამოქვეყნება, არც გამოცვლა, არც განმარტება რომელიმე კანონისა. ყველას აქვს უფლება წარმოადგინოს სკუპშჩინაში პეტიცია ან საჩივარი. სკუპჩინის ნებადაურთველათ ვერც ერთს დეპუტატს ვერ მისცემენ პასუხისგებაში, რაც უნდა დანაშაული მიუძღოდეს.

დიდ სკუპშჩინაში ირჩევენ ორჯელ მეტ დეპუტატებს, ვიდრე ჩვეულებრივში. დიდი სკუპშჩინა იკრიბება, როცა გადასაწყვეტია ტახტის მემკვიდრეობის კითხვა, დასანიშნია რეგენტები, გამოსაცვლელია კონსტიტუციის რომელიმე მუხლი ან როცა მეფეს საჭიროთ მიაჩნია ითათბიროს დიდ სკუპშჩინასთან.

მინისტრები პასუხის მგებელნი არიან მეფისა და სკუპშჩინის წინაშე ყველა თავის მოქმედებაში თანამდებობის ასრულების დროს.

სახელმწიფო საბჭო შესდგება თექვსმეტი წევრისაგან; რვა წევრს ირჩევს მეფე იმ 16 კანდიდატთაგან, რომელთაც სკუპშჩინა წარუდგენს და რვას—სკუპშჩინა მეფისაგან წარმოდგენილ 16 კანდიდატთაგან. ამ გვარათ არჩეული წევრი რჩება თავის თანამდებობაში სიკვდილამდე.

სახელმწიფო საბჭოს შემდეგი ფუნქციები აქვს: მთავრობის წინადადებით მან უნდა შეიმუშაოს კანონებისა და საადმინისტრაციო განკარგულებათა პროექტები და თავის აზრი გამოთქვას იმ კითხვათა შესახებ, რომელსაც მთავრობა წარუდგენს; საბჭომ უნდა განიხილოს ის კანონ-პროექტები, რომელსაც მთავრობა სკუპშჩინაში შესატანათ ამზადებს ან რომელიც სკუპშჩინის ინიციატივით არის წარმოდგენილი.

ყველა სერბი თანასწორია კანონის წინაშე. აკრძალულია მიცემა და მიღება აზნაურობისა და ტიტულებისა. ინდივიდუალური თავისუფლება ყოველ მოქალაქისა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით: თუ სასამართლოს დადგენილებით არა, ისე ვერც ერთ სერბს ვერ დაატუსაღებენ. კერძო სახლი ხელუხლებელია. გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც კანონში არის აღნიშნული, მთავრობის აგენტებს უფლება არა აქვთ კერძო სახლში შევიდენ. სარწმუნოების საქმეში ყველა სრულებით თავისუფალია; სწავლების საქმეც აგრეთვე თავისუფალია. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ხელ შეუხებელია. სერბებს უფლება აქვთ უიარაღო კრებების გამართვისა; ნებადართულია ასოციაციები, რომელთაც კანონის წინააღმდეგი მიზანი არა აქვთ; უცხოელ პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემა აკრძალულია.

ახალი ცვლილებები საზოგადოთ აძლიერებენ მინისტრთა პასუხის მგებლობას სკუპშჩინის წინაშე, აადვილებენ მათ სამართალში მიცემას კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებისთვის, თუნდაც ასეთი მოქმედება თვით მეფის ბრძანების ასრულებას შეიცავდეს. სამართალში იქნებიან აგრეთვე მიცემული ის მოხელეები, რომელნიც ასრულებენ თუნდა თავის პირდაპირი უფროსების უკანონო განკარგულებას.

უკიდურესი რადიალები არც ასეთ კონსტიტუციას ჯერდებიან. ისინი თხოულობენ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას. ჩამოართმევას მეფისთვის ჯარის გამგებლო-

ბისა; ჯარმა და მოხელეებმა უნდა შეფიცონ არა მარტო მეფეს, არამედ კონსტიტუციასაც და სხვ. მარა ყველა ეს მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული.

პეტრე კარაგიორგევიჩმა თანხმობა განაცხადა სერბიის კოროლობაზე. მან აღიარა, რომ ის სულით და გულით ლიბერალია, ის აფასებს სერბიის თავისუფლებას. სენატი მეტ ბარგათ მიაჩნია სკუპშჩინის შემდეგ, როგორც არისტოკრატული დაწესებულება. მიუხედავათ ასეთ განცხადებებისა ხალხი მაინც გულცივათ ეგებება მეფის ჩამოსვლას. მეფის არჩევის გამო ბელგრადის გამგეობამ პარაკლისი გადაიხადა და ჩირაღდნებით ხეირნობა გამართა ქალაქის ქუჩებში, მარა ერთიც და მეორეც უფერული გამოდგა, რადგან ხალხმა არც ერთში მხურვალე მონაწილეობა არ მიიღო. ქუჩებში მხოლოდ პოლიციის და სხვათა მოხელენი დასეირნობდენ. ხალხის გულის პასუხი საკმაოთ მკაფიოთ არის გამოთქმული სერბიის გაზეთებში. აი რას სწერს ერთი მათგანი: «ახალმა მეფემ, ვინც უნდა იყოს იგი, არაოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ხალხი მუდამ შურს იძიებს იმ რეჟიმისთვის, რომელიც არ შეესაბამება მის სურვილს. ყოველთვის თვალწინ უნდა ედგას 28 მაისის ღამე».

რ. ა.

ოპპორტუნიზმი და მისი ქართველი მოტრფიალე

აქამდის ჩვენ დაწვრილებით არ გვილაპარაკნია ე. წ. „ოპპორტუნიზმის“ შესახებ. არ გვილაპარაკნია იმიტომ, რომ ამ მიმართულებას არ ჰყავდა გულახდილი დამცველი ქართულ პრესაში. დღეს კი ეს დამცველი გამოჩნდა და ჩვენც შემთხვევა გვეძლევა ვრცლათ გავარჩიოთ რა არის ოპპორტუნიზმი და ახალი რა შესძინა ამ მიმართულებამ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ოპპორტუნიზმის დამცველათ გამოვიდა ავტორი „უცხოეთის მიმოხილვისა“ «მოამბის» მესამე ნომერში. ავტორი უკიჟინებს „მართლმორწმუნეთ“ დოგმატიკოსობას და გვარწმუნებს, რომ „თეორიით მართლმორწმუნენი პრაქტიკულ ცხოვრებაში ნამდვილი ოპპორტუნისტები არიანო“. მგარამ როგორც მთელი წერილიდან სჩანს, ავტორს თვითონაც კარგათ ვერ ჰქონია შეგნებული, რა არის ოპპორტუნიზმი და ამიტომ ჩვენი ვალია განვუმარტოთ მას.

ის ძირითადი თვისება, რომლითაც ოპპორტუნიზმმა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია „მართლმორწმუნეების“ მხრივ, არის მისი მეტათ მშვიდობიანი ხასიათი, მისი მეტის მეტი შიში ენერგიულ ზომებისა. ოპპორტუნისტის აზრით, საბოლოო მიზნის მიღწევა შეიძლება ჩუმი და მშვიდობიანი მოქმედებით კანონიერების მტკიცე ნიადაგზე. კაპიტალისტურ წყობილების ძირითადი გადაბრუნება ისეთს შიშს გვრის ოპპორტუნისტს, რომ ის თანახმაა ხელი აიღოს იმ მთავარ საშუალებაზე, რომლითაც მუშათა პარტია ფიქრობს მიაღწიოს თავის მიზანს—პროლეტარიატის დიქტატურაზე. პროლეტარიატის დიქტატურა, ოპპორტუნისტის აზრით, არც მისაღწევია და არც სასურველი ჩვენს დროში. არ არის სასურველი იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი ძალიან ცოტათი არის მომზადებული მაგისთანა დიდ როლისათვის: მშრომელთა უმრავლესობა ისე დაბალ საფეხურზე სდგას განათლების მხრივ, სოლიდარობა მათ შორის ისე ცოტათ არის განვითარებული, რომ ვაი თუ თავი შეირცხვინოს, როდესაც სახელმწიფოს სათავეში დაუდგება, ვაი თუ უცოდინარობით საქმე უფრო ცუდათ დაატრიალოსო. პროლეტარიატის დიქტატურა შესაძლებელია მხოლოდ შორეულ მომავალში. ახლა კი მუშათა პარტიის მოთავენი მხოლოდ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ როგორმე გააუმჯობესონ მუშათა მდგომარეობა წყნარი და მოფიქრებული მოქმედებით. სრულებით საჭირო არ არის უკიდურესი ზომების ხმარება, საქმე შეიძლება ბურჟუაზიასთან მორიგებით ვაკეთდეს. ბურჟუაზია, გვარწმუნებენ ოპპორტუნისტები, სრულიადაც არ წარმოადგენს ერთგვარს—კონსერვატულს—მასსას: ბურჟუათა შორის ბევრი პროგრესიული და, ესე გასინჯეთ, დემოკრატიული ელემენტებიც კი მოიპოვება. ჰო და მაშ რატომ არ შეიძლება შეივნოს ამ პროგრესსიულმა ნაწილმა ბურჟუაზიისამ, რა ვნება მოაქვს ახლანდელ წესწყობილებას, რა უსამართლობაა ახლანდელი სიმდიდრის განაწილება. ამ გზით ბურჟუაზიას შეიძლება **სოციალური რეფორმები** გამოვტყუოთ, და მაშინ დამყარდება „ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ერთის სიტყვით, **მარითადი ცვლილება სოციალურ რეფორმების საშუალებით და არა წეს-წყობილებას სრულად დანგრევით**,—აი, ის ლოზუნგი, რომელიც ყველა ოპპორტუნისტებს აერთებს. ამ ლოზუნგამდის სხვა-და-სხვა ოპპორტუნისტები სხვა-და-სხვა გზით მივიდენ. მათ შორის ჩვენ განვიხილავთ ორს—ფოლმარს და ბერნშტეინს, რომლების შესახებაც ლაპარაკობს „მოამბეში“ «უცხოეთის მიმოხილვის» ავტორი.

ფოლმარს ერთის მხრით ეჭვი შეეპარა, ვაი თუ მუშათა პარტიამ ისე მალე ვერ მიაღწიოს საბოლოო მიზანს, ვაი თუ ახლანდელ თაობას ტყუილით ჩაუვაროს ამდენმა შრომამ და ვერაფერს მოესწროსო; მეორე მხრით ფოლმარმა დაინახა, რომ მთავრობამ 1890 წ. დემოკრატიული რეფორმები შემოიღო. მაშასადამე, იფიქრა მან, ძალმომრეობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც ბურჟუაზიული მთავრობა თვითონ ადგია დათმობის გზას. და 1891 წლიდან ის ქადაგებს ზომიერებას, მოფიქრებულ, მშვიდობიან მოქმედებას, ბურჟუაზიისაკენ ხელის გაწოდებას. მისი აზრით, თუ მუშათა პარტიის მეთაურნი საქმეს მოსაზრებით და ფრთხილათ წაიყვანენ, ბურჟუაზია ყველაფერს დაუთმობს. პირველი ის არის, რომ ურთიერთობა ბურჟუაზიისა და მშრომელთა შუა არ იყოს ისე გამწვავებული, რომ ერთმანერთისა აღარა ესმოდეთ-რა. მუშათა პარტია მიუწვდომელ მიზნისაკენ ლტოლვის მაგიერ უნდა სცდილობდეს დღიური კითხვების თავის სასარგებლოთ გადაჭრას, თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ დღიურ კითხვებში უმთავრესნი არიან: 1) ნორმალურ სამუშაო დროს დაკანონება, 2) სანოვაგეზე გარდასახადის მოსპობა და სხვ. აი ამ კითხვების გადაწყვეტას უნდა მოანდომოს პროლეტარიატმა მთელი თავისი ძალ-ღონე და, თუ საქმე ფრთხილათ წაიყვანა და ბურჟუაზიული პარტიები არ გაამწვავა თავისი შეურიგებლობით, ამ კითხვებს „მალიან მალე“ გადასწყვეტს თავის სასარგებლოთ,—ერთი სიტყვით, მთავარი შეცდომა ფოლმარისა იმაში მდგომარეობს, რომ მეტის-მეტათ დიდი მნიშვნელობა მისცა მთავრობის ლიბერალურ ზომებს 1890 წელში. ამ დათმობამ მთავრობის მხრით ძირიან-ფესვიანათ შესცვალა მისი ტაქტიკა.

ბერნშტეინი უფრო ღრმა მოსაზრებამ მიიყვანა ოპპორტუნიზმამდის. ის სტატისტიკურათ ამტკიცებს, რომ კაპიტალის კონცენტრაცია და მშრომელ ხალხის პროლეტარიზაცია სრულებითაც წინ არ მიდის, პირ-იქით ამ ბოლო დროს უფსკრული მდიდართა და ღარიბთა შორის მცირდება და არა დიდდება, თუმც ეს შემცირება ძალიან ნელა ხდება. მაშასადამე, ჩვენც იქით უნდა მივილტვოდეთ, საითკენაც ეკონომიური პროცესი მიგვექანებს: უნდა ვცდილობდეთ სხვა პარტიებთან მორიგებას და ამგვარათ თავის მდგომარეობის ნელნელა გაუმჯობესებას ბერნშტეინიც, როგორც ყველა ოპპორტუნისტები, ეარშიყება ბურჟუაზიას და ყველას არწმუნებს, ბურჟუაზია საერთოთ სრულებითაც არ არის რეაქციონური

პარტიაო. „ჩვენი დროის საზოგადოების ბურჟუაზიული დაწესებულებანი სწორედ იმითი განსხვავდებიან ფეოდალურ დაწესებულებათაგან, რომ ისინი ადვილი მოსაქნელები არიან, უფრო ადვილათ იცვლებიან და ვითარდებიან. **ისინი კი არ უნდა დაანგრიო, უნდა განავითარო**“. (იხ. **Ист. матеріализмъ**“ გვ. 291). პირველი და აუცილებელი ნაბიჯი მდიდართა და ღარიბთა გათანასწორებისა არის პარლამენტის გადემოკრატება: მემარცხენენი ჯერ იმას უნდა სცდილობდნენ, რომ ყველამ პარლამენტში სრული ხმა მოიპოვოს, რომ ყველა სრულუფლებიანი მოქალაქე გახდეს და მაშინ შეუძლიანთ თავის წადილის ასრულებას შეუდგენ. „ინგლისელმა მუშებმა მხოლოდ მაშინ მოიპოვეს პარლამენტში ხმა, როდესაც მისწყდა ჩარტისტების რევოლუციონური კიჟინა და როდესაც ისინი შეუერთდენ რადიკალურ ბურჟუაზიას რეფორმების განსახორციელებლათ“. მაშასადამე გერმანიის პროლეტარიატიც უნდა შეურიგეს ბურჟუაზიასო, ამბობს ბერნშტეინი („**Ист. мат.**“ გვ. 295).

მაშ რაღათ თვლიან ოპპორტუნისტები თავის თავს პარტიის წევრებათ? გვკითხავს გაოცებული მკითხველი: ისინი არაფრით განსხვავდებიან ბურჟუა-დემოკრატებისაგან!—როგორ არა, განსხვავდებიან ერთ რამით: ბურჟუა-დემოკრატი გულახდილათ აღიარებს, სოციალიზმის წინააღმდეგი ვარო; ოპპორტუნისტი კი თითონაც დარწმუნებულია, ჩემი იდეალი სოციალისტური წეს-წყობილებააო, მხოლოთ ამ იდეალს უნდა მიაღწიოს იმავე გზით, რა გზითაც ბურჟუა-დემოკრატი მიისწრაფის სულ წინააღმდეგ იდეალისკენ. ისე რომ ოპპორტუნისტი მიზნით—სოციალ-დემოკრატია, საშუალებით კი, რომლითაც უნდა ამ მიზანს მიაღწიოს, ნამდვილი ბურჟუალიბერალია. ის ძალიან მოწადინებულია ერთსა და იმავე დროს ორ სკამზე დაჯდეს, მაგრამ ვერც ერთზე ვერ ჯდება: ვერც სოციალ-დემოკრატობაზე აუღია ხელი და ვერც ბურჟუაზიისთვის უწყენინებია. ეს გარემოება ოპპორტუნიზმს სრულიად უნაყოფო მიმართულებათ ხდის. საინტერესო ის არის, რომ თვითონ მთავრობა გვიჩვენებს, რამდენათ უნაყოფოა ოპპორტუნიზმი: როგორც სცდილობდა ფოლმარი გაეყვანა თავისი წინადადება,—სანოვაგეზე გარდასახადის მოსპობის შესახებ—რამდენ ეშმაკობას ხმარობდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა მხოლოდ „ახალი გარდასახადის“ წინააღმდეგ ებრძოლა, და აქაც ვერაფერი გააწყო. ესევე ბედი ეწია ყველა მის წინადადებებს, თითქო მთავრობას უნდოდა მისთვის ესწავლებინა: ან ერთს მხარეს გადადი, ან მეორეს, ორპირობა რა საკადრისიაო; თქვენ გინდათ კაპიტალიზმის ნიადაგზე სოციალიზმი აღმოაცენოთო, და ეს კი შეუძლებელია, ვინაიდან სოციალიზმი კაპიტალიზმის დაუძინებელი მტერიაო. ჩვენ არ შეგვიძლიან დასტური არ მივცეთ მთავრობას ჭკვიანურ აზრზე.

ოპორტუნისტებს საზოგადოთ კიდევ ერთი თვისება სჭირთ: მათ ვერ მოურიგებიათ ყოველ-დღიური პარტიული მოქმედება და პარტიის უმთავრესი მიზანი. მათი ყოველდღიური მოქმედება სრულიად ყლაპავს უმთავრეს მიზანს. მაგრამ თუ ამისთანა საქციელი დასძრახეთ, ისინი მაშინვე იმას მოგახლიან: მაშ თუ კომპრომისსები არა გრწამთ, უნდა ხელი აიღოთ დღიურ კითხვების გადაჭრაზე, უნდა ხელი აიღო საპარლამენტო ბრძოლაზე, პროფესიონალურ კავშირების დაარსებაზე და ისეთ მოქმედებას მისდევდე, რომელიც პირდაპირი საშვალებაა უმთავრესი მიზნის მისაღწევათო. თითქმის ყველა ოპპორტუნისტი უცხადებს მართლმორწმუნეებს ამნაირ საყვედურს. ამნაირსავე საყვედურს უცხადებს „უცხოეთის მიმოხილვის“ ავტორი „მოამბეში“ ერთს მართლმორწმუნეს. მართლმორწმუნეებს ამ საყვედურზე საკადრისი პასუხი აქვთ: „საკითხავი ის კი არ არის, უნდა მივიღოთ თუ არა მონაწილეობა არჩევნებში, უნდა ვცდილობდეთ თუ არა პარლამენტში გამარჯვებას, უნდა ვიბრძოლოთ თუ არა სოციალურ რეფორმებისთვის და დემოკრატიულ კანონმდებლობისთვის [illegible] კითხვა ის არის, შეიძლება თუ არა ამასთან ერთათ ძალა ბურჟუაზიას შევანარჩუნოთ, თუ ყოველი საშუალება უნდა ვიხმაროთ ჩვენის მიზნის მისაღწევათ?“

ესეთია ის მიმართულება, რომელსაც ასე გულ-მოდგინეთ იცავს „მოამბის“ „მიმოხილვის“ ავტორი. მაგრამ, როგორც სჩანს, ავტორს თითონაც არა სცოდნია, რა არის ოპპორტუნიზმი. ეს არ ცოდნა ავტორმა გამოიჩინა მაშინ, როდესაც ვერ გაარჩია, რა განსხვავებაა ოპპორტუნისტთა და იმ „მართლმორწმუნეთა“ შორის, რომლებიც, უმთავრეს მიზანთან ერთათ, დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვებსაც აქცევენ ყურადღებას. მაგალითათ, ავტორი ოპპორტუნისტს უძახის იმ „მართლმორწმუნეს“, რომელმაც შემდეგი სიტყვები სთქვა: „მუშების წარმომადგენლების მხრივ სისულელე იქნებოდა, სახეში არ მიეღოთ ბურჟუაზიის სხვა-და სხვა წრის შეუთანხმებლობა, მათი ბრძოლა ერთმანეთისა და რეაქციის წინააღმდეგ... (მათთვის) სასარგებლოა იცოდენ ყოველ წამს ურთიერთი დამოკიდებულება პარლამენტის პარტიებისა“.

„განა ეს იგივე ოპპორტუნიზმი არ არის?“—გვეკითხება ავტორი. არა, ვუპასუხებთ ჩვენ, ეს სრულიადაც ოპპორტუზმი არ არის. ოპპორტუნიზმი ის იქნებოდა, ამ სიტყვების მთქმელს რომ ეთქვა: მუშების წარმომადგენლები ამ წვრილწვრილსა და ნელ-ნელ გაუმჯობესებას უნდა გამოუდგენ და ჯერჯერობით აგიტაციას თავი უნდა დაანებონო. მეორე მაგალითი. ავტორი ოპპორტუნისტათ სთვლის შემდეგი სიტყვების მთქმელს: „მუშების პროფესიონალურ კავშირებისა და გერმანულ დემოკრატიის მეტოქეობის მოსასპობათ დემოკრატიის წარმომადგენლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფესიონალურ ინტერესებს, როცა ისინი პარლამენტში მოქმედებენ და აგიტაციას ეწევიანო“—„ეს ხომ პრაქტიკულათაც და თეორიულათაც ბერნშტეინის ოპპორტუნიზმიაო?“ გაოცებულა ავტორი.—„არც პრაქტიკულათ და არც თეორიულათ ეს არ არის ბერნშტეინის ოპპორტუნიზმი“, ვუპასუხებთ ჩვენ: ერთიბეწვა რომ ჩაკვირებოდით ოპპორტუნიზმს, მაგას არ იტყოდით. რომელი პროგრამაც უნდა აიღოთ მუშათა პარტიისა, ნახავთ, რომ მუშათა პროგრამაში შედის პროფესიონალურ კავშირების დაარსება, რადგანაც ესეთი კავშირები აერთებენ მუშებს და მათ შორის სოლიდარობას ავითარებენ. მუშათა პარტია მხოლოთ იმისთანა კავშირების წინააღმდეგია, რომლებიც მუშების არისტოკრატიას შეადგენენ და მიღწეულ კეთილდღეობის გავლენის ქვეშ უარს ამბობენ ხოლმე უმთავრეს მიზანზე. ბერნშტეინს კი სწორედ ამ პროფესიონალურ კავშირების დაარსებით უნდა მუშების შველა.

„თეორიით მართლმორწმუნეთა და პრაქტიკულ მოქმედებაში ოპპორტუნისტთა“ რიცხვში „მიმოხილვის“ ავტორმა მოაქცია... ბებელიც კი. დამტკიცება ბებელის ოპპორტუნისტობისა შემდეგია: „იგი თანახმა გახდა სამხედრო მინისტრისა, რომ გერმანიის ჯარისთვის გაუმჯობესებული იარაღი შეეძინათ“.—მერე ეს არის ოპპორტუნისტობა?

საზოგადოთ ბებელი, როგორც მთელი მისი მოღვაწეობა გვიმტკიცებს, პრინციპიალურათ წინააღმდეგია მილიტარიზმისა. მაგრამ რადგანაც ომის გადაგდება შეუძლებელია ჩვენს დროში, ბებელის აზრით. უსამართლობა იქნებოდა, გერმანიელი ჯარი ისე ცუდათ იყოს მოწყობილი, რომ სხვა სახელმწიფოს ჯარებმა მუსრი გაავლოსო. სწორედ ეს აზრი გაატარა ბებელმა იმ სიტყვაში, რომელიც „მიმოხილვის“ ავტორს მოყავს.

მეორე ბრალდება: „რიხტერს რათ დაუძახა „მოღალატე“, როდესაც რიხტერი, როგორც ბურჟუა, უეჭველათ მოღალატე უნდა იყოსო.“—სადამოენო პოლიტიკაში რიხტერი, როგორც თავისუფალ მოაზრეთა მოთავე, ყოველთვის დემოკრატებს მხარს უჭერდა. შარშან ბებელმა იმიტომ დაუძახა „მოღალატე“, რომ რიხტერმა უარი სთქვა ობსტრუქციაზე და ამ უარის თქმით დემოკრატებს ავნო. ბებელს ამ სიტყვით მხოლოთ ის უნდოდა ეთქვა რიხტერისთვის, შენ ლიბერალ-დემოკრატიულ პრინციპს ულალატეო“.

თავის «მიმოხილვას» ავტორი ამ სიტყვებით ათავებს: „ვერც პრიზმა და ვერც „ერთხელ და სამუდამოთ შემუშავებული პროგრამა“ ვერ შესცვლის სინამდვილეს. ამ მარტივ ჭეშმარიტების შეგნება დიდ სარგებლობას მოუტანდა წმინდა წყლის დოქტრინიორებს, და რაც ადრე მოხდება ეს თვალების ახელა, მით უკეთესი იქნება“. ბებელს თვალები აეხილა და გოაპორტუნისტდა, მაშასადამე ჩვენც უნდა თვალები აგვეხილოს და გავოპორტუნისტდეთ! თუ ავტორს უვიცობით მოუვიდა ეს მიპატიჟება, კიდევ ღმერთმა შეუნდოს, თუმცა კი მწერალს არ ეკადრება იმისთანა სიგანზე ლაპარაკი, რომელსაც თითონ არ იცნობს; მაგრამ თუ ავტორი მაინც განაგრძობს ოპპორტუნიზმისაკენ მიწვევას, მაშინ მადლობა ვუთხრათ სტუმართ-მოყვარეობისათვის ტ ოპპორტუნიზმი სრულ და საუკუნო საკუთრებათ დავუტოვოთ. ავტორი მაინც-დამაინც არას წააგებს, რადგანაც ოპპორტუნიზმი უფრო თბილი კუნჭულია, ვიდრე „წმინდა წყლის დოქტრინიორობა“.

ლ. ნ.

მიხეილ მ. ფილიპოვი

(† 12 ივნისი 1903 წ.)

წასულ 12 ივნისს უეცრათ გადაიცვალა თავის კაბინეტში, ,,ნაუჩნოე ობოზრენიეს'' რედაქტორი, მ. მ. ფილიპოვი. განსვენებული დაიბადა 1858 წელს. განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულს და შემდეგ ოდესაში ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1881 წელს გაზეთ ,,მისლ''-ში, შემდეგ მონაწილეობას იღებდა ,,რუსკოე ბოგატსტვო''-ში ,,დენ''-ში, ,,სლავიანსკი იზვესტია''-ში, ,,სევერნი კურიერ''-ში და სხვ. 1894 წელს დაიარსა საკუთარი თვიური ჟურნალი ,,ნაუჩნოე ობოზრენიე'', რომელსაც სიკვდილამდის რედაქტორობდა. სპეციალურ შრომისათვის უმაღლეს მათემატიკიდან მან მიიღო ჰეიდელბერგის უნივერსიტეტიდან ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

განსვენებული ერთი ნიჭიერი ჟურნალისტთაგანი იყო რუსეთში ამ უკანასკნელ წლებში. მისი ნაწერები ეხებიან თითქმის ყველა დარგს მეცნიერებისას: ფილოსოფიას, სოციოლოგიას, ეთიკას, ესტეტიკას, ლიტერატურულ კრიტიკას და სხვ. ყველაზე უფრო შესანიშნავია მისი წერილები ფილოსოფიური და კრიტიკული ხასიათისა. საზოგადოთ ის არ ყოფილა ფილოსოფოსი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მას არ შეუქმნია განსაკუთრებული ახალი სისტემა. მუდამ ცხოვრების ტალღებში მოტრიალეს, ბრძოლაში გართულს, მას არ ეცალა შესვენებით საკუთრათ ფილოსოფიურ აზროვნებას მისცემოდა. მას ბევრი წერილები აქვს აგრეთვე ეკონომიურ კითხვების შესახებ. ამ სფერაში მას ეტყობა ძლიერი გავლენა კ. მარქსის ფილოსოფიისა. ის ყოველთვის იბრძოდა ნეომარქსისტთა წინააღმდეგ, როგორც მარქსის მოწაფე, თუმცა არც თვითონ იყო ორტოდოქსი მარქსისტი და ბევრში არ ეთანხმებოდა მარქსს. მარა ის ადგილები, სადაც ის ცდილობდა თავის საკუთარი აზრი დაედგინა ეკონომიურ კითხვების შესახებ, ის მეტათ სუსტია. საერთოთ ეკონომია არ იყო მისი ნიჭის შესაფერი სფერა. მის ნაწერებს, როგორც მოვიხსენეთ, უფრო მეტი ნიჭი ეტყობა ფილოსოფიასა და სოციოლოგიურ კითხვებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აქვს აგრეთვე წერილები ბუნების მეტყველებიდანაც. ამასთანავე ის ეწეოდა ქიმიურ გამოკვლევებსა. ამ უკანასკნელ დროს ის იკვლევდა ერთგვარ საშუალებას, რომლის შეწეობითაც შესაძლებელი ყოფილიყო აფეთქების დიდი მანძილზე გადაცემა. ის თვითონ სწერდა ამის შესახებ ,,რუს. ვედ.''-ში, რომ როგორც თოფის წამალის გამოგონებამ შეამცირა სისხლის ღვრა ომიანობისა, ისე მისი ახალი გამოგონება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იქნება მთელი ჯარის ერთ წამში გაწყვეტა, შეუძლებელს ყოფს ომს, სრულ აბსურდათ აქცევს მას. ამის შესახებ ის აპირებდა გამოკვლევის გამოქვეყნებას მომავალ შემოდგომაზე. შესაძლებელია ამავე გამოკვლევებმა იმსხვერპლეს, რადგან მეტათ შხამიან და ჩქარა ამფეთქებელ გაზებთან ქონდა საქმე. წინა დღით, საღამოს, ის შესულა თავის ქიმიურ კაბინეტში, მეორე დღეს კი იქვე გადაცვლილი უპოვნიათ. მისი შრომებიდან განსაკუთრებით ყურადღების ღირსია «Философія дѣйствитедьности», „Судьбы русской философіи“ და კრიტიკული წერილები, რომლებშიაც არჩევს ვორკის, ზუდერმანის, ჰაუპტმანის და სხვ. ნაწარმოებთ. მოგვყავს სავსებით მისი წერილი «რუსკ. ვედ.» რედაქციაში გაგზავნილი: «სიყმაწვილის დროს მე ამოვიკითხე ბოკლიდან, რომ წამლის გამოგონებით ომიანობა ნაკლებ სისხლის მღვრელი შეიქნაო. მას შემდეგ მე არ მასვენებდა ის აზრი, რომ შესაძლოა ისეთი საშვალების გამოგონება, რომლის შემდეგ ყოველიკე ომი თითქმის შეუძლებელი შეიქნება. თუმცა გასაკვირველია, მარა ამ დღეებში მე მოვახდინე ისეთი აღმოჩენა, რომლის პრაქტიკული გამოყენება სამუდამოთ გააუქმებს ომს. მე ვამბობ ჩემგან გამოკვლეულ საშვალებაზე ელექტრონის შემწეობით აფეთქების ტალღების გადაცემისა. ჩემგან ნახმარი მეთოდით თუ გავსჯით, ასეთი გადაცემა შესაძლებელი გახდება რამდენიმე ათას კილომეტრზე, ასე რომ პეტერბურგში მომხდარი აფეთქების მოქმედება შეიძლება გადაცემულ იქნეს კონსტანტინეპოლში. საშვალება გასაკვირველი, ცხადი და მარტივია. რაკი ომი ასეთ მანძილზე მოსახერხებელი შეიქნება, მაშინ ფაქტიურათ ომის დაწყება სისულელე იქნება და უნდა გაუქმებულ იქნეს. დაწვრილებით დაიბეჭდება მეცნიერების აკადემიის მემუარებში, ამ შემოდგომაზე. ცდას აფერხებს ის გარემოება, რომ საცდელი ნივთიერება მეტათ საშიშია, რადგან ზოგი ჩქარა ამფეთქებელია (როგორც საშხლორინი აზოტი) და ზოგიც მეტათ შხამიანი. მიხეილ ფილიპოვი. 11 ივნისი, 1903 წ.''.

რ. ა.

სხვა-და-სხვა ამბები

19 ივნისს, სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში გაირჩა საქმე სტეფანე ონისიმეს ძე გურგენაძისა, რომელსაც ბრალი ედებოდა გასული წლის 10 აგვისტოს გერთის მემამულის პოდკოლზინის თავსდასხმა სხვა პირებთან ერთათ. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბრალდებული გაამართლა, მაგრამ პროკურორის ამხანაგის კროტოგის სააპელაციო პროტესტის გამო საქმე გადავიდა პალატაში. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამარლოს განაჩენი და ბრალდებული გაამართლა.

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის 4 კლასიდან მე-5-ში 70 მოსწავლე გადავიდა. რადგან მე-5 კლასში ორი განყო-

ფილება არ არსებობს (4 კლ. ორი განყოფილებაა), ხოლო გასახსნელათ მატერიალური სახსარი სასწავლებელს არ მოეძებნება, ამიტომ დირექტორმა განაცხადა, რომ ის იძულებული გახდება დაითხოვოს 30 მოსწავლე, თუ მშობლები მოსწავლეთა არ იკისრებენ პარალელური განყოფილებისთვის საჭირო ხარჯის 1630 მ. გადახდას. თავის განზრახვა მან გამოუცხადა მშობლებს, რომელნიც მისის მოწვევით შეიკრიბენ 8 ივნისს. მშობლები რასაკვირველია დათანხმდენ ზედმეტი ხარჯი (თითოს შეხვდა 25 მანეთი) ეხადნათ, ოღონდ მათ შვილებს სწავლის გაგრძელების საშუალება არ მოსპობოდათ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დირექტორმა წინეთ მიმართა საჭირო თანხის გამოსაღებათ ადგილობრივ ქალაქის მართველობას და საკრედიტო საზოგადოებას, განუცხადა, რომ ამ კითხვაზე დამოკიდებულია 30 მოსწავლის სასწავლებლიდან დათხოვნის საქმეო. ჩვენმა **საზოგადოებრივ**ებმა დაწესებულებებმა ჩვეულებრივათ უპასუხეს, «რადგან საჭირო თანხა საზოგადოებას არ მოეპოვება და სხვ.»...

ამასაც საზოგადოებისთვის ზრუნვა ქვია, ქუთათურების ენაზე!

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა და გამოსცა წესები, რომლის ძალითაც უნდა მოაწყონ რუსეთიდან გადმოსახლებულნი და, საზოგადოთ დასახლების მსურველნი იმ სახელმწიფო მიწებზე, რომელნიც მდებარეობს შემდეგ გუბერნიებში: ტფილისისა, ერევნისა, განჯისა და ბაქოსაში, აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის შემდეგ მაზრებში: შორაპნისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, ზუგდიდისა, სენაკისა, ოზურგეთისა და ქუთაისისაში და სოხუმის ოლქში. საჭინისტროს მიერ გამოცემული წესი არ შეეხება სოხუმის ოლქის ადგილობრივ მცხოვრებთ ან უცხო ქვეყნიდან მოსულ კოლონისტებს. ზემოაღნიშნულ გუბერნიებში დასახლებულთა მოწყობა, სამინისტროს განკარგულებით, ევალება განსაკუთრებულ კომისიებს, საგუბერნიო საგლეხო და ახლათ დასახლებულთ, საქმეთა საკრებულოებს. ახლათ დასახლებულთა მოსაწყობათ სახელმწიფო მიწებზე შესდგა სამი დასი. პირველ დასის მეოაურათ დაინიშნა ფონ-დერვიზი; ეს დასი გაიგზავნება განჯის გუბერნიის გუმბრის მაზრაში. მეორე დასი მაჩაბელის ხელმძღვანელობით გაიგზავნება ბორჩალოს მაზრაში. მესამე დასის მეთაურათ მარკოვია. სად წავა ეს დასი, ჯერ არ არის გამორკვეული. მალე მეოთხე დასიც შესდგება მუშაობას. შეუდგებიან ივლისის პირველ რიცხვებში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ მოსამსახურეებს არ შეეძლოთ რკინის გზის გამგეობაში კერძო პირების მიღება და მათთვის რაიმე ცნობების მიცემა. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, სამსახურიდან დაითხოვენ. ამას წინეთ კიდევ მოსამსახურეებს აეკრძალათ ვექილების მიღება და ცნობების მიცემა.

კავკასიის რკინის გზას შამოსვლია 1902 წელს პასაჟირის ბილეთებისგან, ბაღაჟისა და სწრაფ საქონლის მატარებლისაგან 3,534,463 მან. 41 კაპ. ჩვეულებრივი საქონლის მატარებლისაგან 22,060,399 მ. 43 კ.

სხვა შამოსავალი, რომელიც მატარებლებს შამოუტანია უდრის 1,553,656 მ. 23 კ.

გარეშე შამოსავალი ყოფილა 124,800 მ. სამსახურის ქალალდების და სხ. გზაენიდან შამოსულა 1.054,946 მ. 31 კ.

სულ შამოსავალი ყოფილა 28.334,265 მ. 48 კ.

გასავალი ყოფილა: მოსამსახურეთა ჯამაგირი და სხვა ხარჯები 15.166,309 მ. 24 კაპ. წმიდა შამოსავალი გზაზე დარჩენია 13.167,956 მან. 24 კ. წინანდელ წელთან შედარებით შამოსულა მეტი 417,390 მ. 59 კაპ.

ამ თვის დამლეგს მოქმედებას დაიწყებს ნავთის მილი ბაქოსა და ვოლჩია ვოროტას შუა. ამავე დროს აკურთხებენ მილს. რკინის გზის უფროსი ამ დღის სახარჯოთ სამინისტროს 1500 მანათს სთხოვს.

შარშან ნობელის ნავთის ძრეწველ საზოგადოებას წმინდა მოგება ჰქონია 2,158,929 მ. 30 კაპ. აქედან აქციის პატრონებს დაუოგდებათ 1,541,747 მ. 92 კაპ.; საბჭოს წევრებს, დირექტორებსა და სხვა მსხვილ მოსამსახურეებს—227,831 მ. 95 კაპ.; წვრილ მოსამსახურეებს მხოლოდ—88,726 მ. 38 კაპ.

---

18 ივნისს, ავჭალის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონმა გაიტანა ვიღაც კაცი. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მალე სული დალია.

ᲞᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ს. ᲩᲝᲩᲮᲐᲗᲘ (გურია). ჯერ ხუთი-ექვსი თვეა, რაც მთავრობამ ჩოჩხათელებს კამოუგზავნა „ბრავიტელსტვენნი სტარშინა“ იმერელი ახნაური. და დაუნიშნა ჯამაგირათ ოთხასი მანათი.

ვარის თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა...

დადგა მამასახლისი. მაგრამ ვერაფერი მამა სახლისა გამოდგა ეს ჯამაგირით მამასახლისი და ვერც მაშასადამით ბატრონობს, შკოლებზე გული არ შესტკივა. მთ კაჭარეულებს არ ხედავს:—თესვის დროზე ურიდობებს ახდენს და მარგლისზე (თუ ვინმემ რამე დათესა) გზებს აკეთებინებს და საწყალ მუშებს ზურგზე საკაძად აკიდებულებს მირეკავს იქით—ამ გზაზე, რომელზედაც გლეხს წელიწადში ორჯერ არ შეხვდება კაცი. ხედში—საქონლის გასადენი ადგილი—მთარახი უჭირავს.

ჩვენი სოფლის ერთ გლეხს ს. კუბრაძეს ობილისის მიხეიდის სასვათმოფოფოში ავათმოფოფობით ტოლი მოუკვდა. ქმარმა ტოლის სიკვდილი გვიან შეიტყო და მიცვალებული იქ დაემარხათ. გლეხმა შეიმჩნია ტოლის სიკვდილი, სასვათმოფოს გამგეობას მოწერილობისამებრ ნახარჯი ფულებიც კუბზავნა; მერმე მდგელი მიიპატიჟა და ტოლი „იტირა“. მდგელს თავისი გასამრჯელო მიართვა და ასე და ამგვარათ იგლოვა ტოლი დედამან; დღეს კი სხვა გვესმის: გლეხს თურმე მკითხავმა უთხრა, შენი ტოლი ტოტხადა, თბილისში დიდკაცთან არისო. გლეხმა დაუჯერა ეშმაკის მოციქულს, ისესხ-ივალა და ქალაქს წავიდა; სძებნა და ნახა ვიდაც დიდკაცის სახლებში ერთი ქალი და მის ადგილის მიამზგავსა, მაგრამ მარტო ვერაფერი გააწყო: უცხო კაცს სხვის ეზოში ვინ შეუშვებდა! გამობრუნდა გურიაში. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მამასახლის სთხოვა, ჩემი ტოლი თბილისში ვნახე და თქვენ, როგორც ბოლიცია, მოიშუშეთო. მამასახლისს თურმე თბილისში წასვლა უნდოდა და გლეხის თხოვნაზე დათანხმდა: ოღონდ წასვლა-წამოსვლაზე ხარჯი იეო საჭირო. გლეხმა ისესხა ფული და ქალაქს გაჩნდა ჩოჩხათის „მამა“ რძლის სანახავადათ. გლეხმა წაიყვანა იგი და ეზოში ჩუმათ შეახედა—ის არის ჩემი ტოლიო. მამასახლისმა დაიმედა გლეხი თხუთმეტ დღეში „ოტპუსკით“ გავაჩენ შენთან შენს ტოლსო და გამობრუნდენ უკან. გლეხი ეოველ დღე ელოდებოდა ტოლს, მაგრამ არსად იეო; ბოლოს მამასახლისს მი-

კითხა და მან ერთხულ კიდევ თბილისში წასვლა ურჩია. კიდევ ძველი ისტორია. ახლა ამ გლეხს კარდა მამასახლისმა ორი კაცი სხვა წაიტანა „რძლის“ სამოგზაურლათ კი არა—გამოსაცხობათ. ხარჯებმა გლეხს ხელა და ნადია გაუიდეა. დიდით იქ მიიპარენ, სადაც გლეხის ცოლი ეგულებოდათ. გლეხი დამალეს, ქალმა არ იცნოსო; ის ორი კაცი ჭიშკართან აიტუზა, მამასახლისი ნაბად მოხურული ეზოში შევიდა. ამ დროს გლეხის ცოლი—გენერლის მეუღლე—აივანზე გამოვიდა და რა დაინახა ერთი კაცი ეზოში და ორი იქით: „წადი, წადი, დმერთი მოგცემსო“ და მამასახლისი უკან გამობრუნდა.

ამგვარათ ხელცარიელი ჩამოვიდენ გურიაში.

დღეს მამასახლისი იტინის, გლეხი სტირის და ის ორი კაცი თბილისურათ დიდინებენ!

განა არ შეეძლო მამასახლისს კანცელარიის მოწერ-მოწერებში ჩაეხედა, საავადმყოფოს მოწერილობა ენახა, ან ბრისტავთან ეკითხა და სულელი გლეხი ჭკუაზე მოეყვანა?!. კარგი, ეს ტუალეტი წასვლათ ჩავთვალოთ, ახლა ხშირათ „ოტეუსკებს“ იღებს და მის მაგიერ „ბომოშნიკს“ სტოვებს. ესეც ხომ დიდი ვაუბატონი გახდა—ცხენზე იჯდეს, თუ არ იჯდეს, მთრახს მაინც ვერ შორდება.

ჩოჩხათის საზოგადოებაში სამი სამინისტრო შეიკრა (სუფსის ორკლასიანს შეიკრა კარდა): ერთი ორ კლასიანი და ორიც ერთ-კლასიანი. ოთხი მასწავლებელი—ყველა მთავრობიდან მოწოდებული. ამათ ის გონიათ, რომ მარტო ბავშვებთან აქვთ საქმე ჯ ის კი დავიწყებიათ, რომ სახალხო მასწავლებელი არიან. მეტათ სანაქებო იქნება თავისუფალ დროს, კვირა-უქმე დღეებში დიდებთან ისაუბრებდენ, გაზეთს წაუკითხავდენ: სად რა ქნილა, ვის რა უქნია, და ამას დიდი ინტერესით მოისმენს ჩვენი გლეხობა.

ბიბლიოთეკის შესახებ ჯერ ხომ არც უფიქრიათ!..—ოთხი მასწავლებელი, ოთხასზე მეტი მოწაფეები და ხუთასი თუ მეტი კომლი გლეხობა! ვინ უნდა იყოს ამათი წინამძღვარი?—თქვენ... მაგრამ სადა!.. და მიტომ გვაკლია გული.

?

—

ქ. ბათუმი. წელიწადზე მეტი იქნება, რაც ერთმა ხმოსანთაგანმა მოხსენება შეიტანა ქალაქის საბჭოში და ადრა კითხვა, რომ ქალაქს ედგესსწაულა 25 წლის იუბილე. ამ მიმდინარე წელს 25 წელი შესრულდება, რაც ქალაქი ბათომი გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი. ხმოსანი ითხოვდა, რომ ეს დღესასწაულები ადენიშნათ რაიმე კეთილი საქმით, ე. ი. ქალაქის თეატრის აგებით და წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებით. საბჭომ მოიწონა ხმოსნის წინადადება და დაადგინა, რომ აგებულ იქნას შენობა თეატრისთვის და დაარსებულ იქნას ქალაქის თვითმართველობის შენობაში საზოგადო ბიბლიოთეკა. გაიარა ამის შემდეგ რამდენიმე თვემ და ქალაქის თავმა თავადმა ანდრონიკაშვილმა განსაკუთრებული მოხსენება შეიტანა საბჭოში ამ იუბილეის შესახებ. მან ასე დაიწყო თავის მოხსენება: „როგორც ვიცით, ქალაქი ბათომი სამრეწველო ქალაქია და ერთი საუკეთესო ბოდაზთაგანია შავი ზღვის პირათ, ამიტომაც არის რომ $^2/_3$ ბათომის მცხოვრებლებისა მუშა ხალხისაგან შესდგება. საბჭომ განიზრახა იუბილეს 25 წლის იუბილეი და ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ მან დაადგინა, აგებულ იქნეს თეატრის შენობა და დაარსებულ იქნეს ბიბლიოთეკა. სიშორისა და სიძვირის გამო მუშა ხალხი ვერ ისარგებლებს ამ დაწესებულებით, ვინაიდგან წიგნთსაცავი უფასო არ იქნება, ხოლო თეატრი კი შუაგულ ქალაქში იქნება აგებული; ამნაირათ მუშა ხალხი უფრაადლებოთ რჩება, ამიტომ მე ვაძლევ წინადადებას საბჭოს, რომ ამ დღესასწაულის აღსანიშნავათ, გარდა თეატრისა და სამკითხველოსი, დაარსებულ იქნეს პირველ დაწყებითი შეიოლა მუშათა უბანში, აგებულ იქნეს ამავე უბანში სახალხო სახლი, ინფუზორიანი სასადილოთი, უფასო სამკითხველოთი და თეატრით, აგრეთვე აგებულ იქნეს დამის თავშესაფარი უბინაო და ჟანაური მოსალოდნელ ხალხთათვის, რომელშიაც დაეტევა არა ნაკლებ 300 კაცისა. ასევე ხალხისა, სკოლისა და დამის თავშესაფარის შესახებ მქონდა მიწერ-მოწერა ქარხნების დირექტორებთან და მათ სიამოვნებით აღიარეს ქვეს დახმარება ამ ფრიად სიმპატიურ საქმის განსახორციელებლათ“. დამსწრე საზოგადოება ტაშის ცემით შეეგება ქალაქის თავის მოხსენებას, ზოგნი მათგანი გაკვირვებული ეკითხებოდენ ერთმანეთს: „კაცო არ გიკვირს, რომ ანდრონიკაშვილი გადემოკრატებულა“. ბევრი კამათის შემდეგ ხმოსნისა და ქალაქის თავის მოხსენებები განსაკუთრებულ სადღესასწაულო კომისიას გადასცეს, რომელსაც მიანდვეს მათი დაწვრილებითი განხილვა და აგრეთვე დაავალეს ამავე კომისიას სადღესასწაულო წეს რიგის შემუშავება. კომისიას უკვე დასრულებია გამოკვლევა და თავისი აზრი წარუდგენია გამგეობისათვის, გამგეობასაც განუხილავს და 2 ივნისს. ქალაქის თავმა წაუკითხა კომისიის მიერ შედგენილი გეგმა: 1) დაარსდეს ორი პირველ დაწყებითი შეიოლა ერთი გაუთათვის და მეორე ქალთათვის, 2) აგებულ იქნას თეატრის შენობა ალექსანდრეს ბაღში, 3) აგებულ იქნას სახალხო სახლი და დამის თავშესაფარი, 4) გამოიცეს „კრებული“, რომელშიაც იქნება მოთავსებული ქ. ბათომის აღწერა, მისი წარსული და მომავალი, სურათებით. 5) განათდეს ქალაქი ჩირაღდნებით დღესასწაულის დროს, 6) გადახდილ იქნას დღესასწაულის წინ დამით ზანაშვიდი დახლიდ მეომართა სულის მოსახსენებლათ, 7) გადახდილ იქნას მოგვლენა ხელმწიფე იმპერატორის და სიამპერატორო სახლის სადღეგრძელოთ და 8) დაურიგდეს თითოეულ ჯარის კაცს თითო ბაზი სიჩუქრათ. ამას ქალაქის თავმა დასძინა, რომ გამგეობამ კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა მოიწონა, მხოლოთ სიწიროთ დაინახა კითხვა დამის თავშესაფარისა და სახალხო სახლის შესახებ დაეშორეს ერთმანეთს. ეხლავე შეუდგეს დამის თავშესაფარის აგებას, ხოლო სახალხო სახლი შემდეგ უფრო მარჯვე დროისთვის გადაიდოს, ვინაიდგან ამ სახლის აგება მეტათ ძნელი საქმეა, ბრძანა თავადმა ანდრონიკაშვილმა და ამნაირათ თავისი პირველი მოხსენება შინვე გააბათილა. შესაძლებელია თავადს კიდევაც დაავწყდა, რომ მან ამ რამდენიმე თვის წინეთ ამდენი ტეკვა-წამალი დახარჯა, რომ საზოგადოების ყურადღება დაემსახურებია. ჩვენის აზრით, თავადმა ინიტიატივა ხარჯავდა ბტეულ-ბტეულ ფრაზებს, რომ ის ასარჩევი იყო, ხოლო მეორეთ კი უკვე დამტკიცებული ქალაქის თავი იყო.

კასიო.

—

ლ. საჩხერე. ჩვენი ცხოვრების სახსარი სიმინდი და პურია, თავიც ამით უნდა ვისაზრდოვოთ და გადასახადებიც ამით უნდა გადავიხადოთ. ღვინო კი ხანია ჩვენში აღარ მოდის; ძველი ვენახები დახმენ და ახალი კი ბევრს არავის გაუშენებია. წასულ წელში ძალიან ნაკლები მოვიდა ჩვენში სიმინდი, ხალხს იმედი ჰქონდა პურის მოსავლისა, მაგრამ იმედი გაუკრუკდა. აიღო თუ არა თოვლი და პურმა მიწიდან თავი იჩინა, დაესია რაღაც ჭია და დაუწყო ძირში ჭრა პურს, ისე გაანადგურა ყანები, რომ ძირიც აღარ გაუშვა ჯეჯილის. მუშებმაც, რაღაი პურის იმედი დაწმინდეს, ახნეს ყანები და დასთესეს შიკ სიმინდი, ვინც არ ახნა იმასაც დღეს სანანებლათ გაუხდა, ყანაში ბარდ-ბალახის მეტი არა ამოვიდა-რა. წასულ წლებში, თუ მოსავალი სიმინდი ან პური ნაკლები იქნებოდა ჩვენში, მაგიერათ გურია-სამეგრელო გვიწყობდა ხელს. იქიდან სიმინდი ბლომათ მოქონდათ და ამითი ხალხი იოლათ მიდიოდა, რადგან ფუთი სიმინდი 40 კ. არ აცილდებოდა. დღეს იქიდან სიმიდი აღარ შემოდის და ამის მიზეზით ჩვენში სიმინდი გაძვირდა, კოდი სიმიდი 2 მ. 20 კ.—2 მან. 40 კ. ისყიდება (ჩვენებური კოდი 2 ფუთს და 16 გირ. უდრის). ახლავე რომ ჩვენში კოდი სიმინდი ამ ფასში იქნება, რა ეჭვი უნდა, რომ მკათათვე-მარიამობის თვეებში უფრო გაძვირდება, მით უმეტეს, რომ ხალხი პურის მოსავალს არ მოელის.

ჩვენი საჩხერის ბოქაულიც ახლა გამეცადინებია მიწათ გადასახადთა აკრეფას, ზოგს ცხენს, ხარს და სხვა მოძრავ საქონელს უყიდის და ამგვარათ ფულებს აგროვებს გამალებული. იმის გარჩევაში კი არავინ შედის, რომ ხალხს, ამ ძვირ წელიწადში, თავის საზრდო ვერ უშოვნია და გადასახადი ფული საიდან უნდა იშოვნოს? ერთი სიტყვით, გაჭირვება ათასნაირია და საშუალება ერთნაირიც კი არსად ჩანს.

ორიოდე სიტყვა მიწათ გადასახადთა შესახებ! მომეტებულ შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენებური მემამულეები ამ გადასახადის დაუწყობლობით. არ იქნა, არ ეღირსათ, რომ ეს გადასახადი ერთ რიგიან ზომიერ გზაზე დამდგარიყო და მემამულეს მხოლოდ იმდენი ხდებოდეს, რამდენი მამულიც აქვს. როგორც მოგეხსენებათ, ეს გადასახადი ზომიერათ გაწერილი არ არის და მძიმე ტვირთათ აწევს ზოგ-ზოგ წვრილ მემამულეს.

ურნალელი.

რუსეთის ცხოვრება

გაზ. „ბაკუ"-ში მოუკანიდია საინტერესო ცნობები სახალხო შკოლების გავრცელების შესახებ ერობიან გუბერნიებში და ისეთ ადგილებში, სადაც ერობა არ არსებობს.

კიევის გუბერნიაში, **სადაც ერობა არ არის,** თითო შკოლა მოდის 13,548 მცხოვრებზე, რომლებიც გაფანტულია 169,2 ოთხკ. ვერსტზე.

ბოდოდისში—9,943 კაცზე და 121,4 ოთხკუთხ ვერსტზე.

ხოლო მეზობელ ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიებში, **სადაც ერობები მოქმედებენ,** თითო შკოლა უწევს ბირკელში 3,363 კაცზე და 63,4 ოთხკუთხ ვერსტზე; მეორეში—3,275 სულზე და 47,6 ოთხკ. ვერსტზე.

ამასთანავე ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არაა შემოდებული, მრავალი სოფლის საზოგადოებები სრულიად უშკოლოთ არიან. ასეთი რიცხვი კიევის გუბერნიაში თითქმის ნახევარს შეადგენს საერთოთ საზოგადოებათა რიცხვისას (89 საზოგ. არა აქვს შკოლა, სულ კი 204 საზოგადოებაა გუბერნიაში), მარა საერობო გუბერნიებში სწავლა-განათლების საქმე სხვა მხრითაც უკეთ არის დაყენებული, საერობო შკოლაში სწავლა-განათლების საქმე ოთხჯერ უკეთესათ არის მოწყობილი, ვინემ საამინისტროსა და საუფლო შკოლებში. მიუხედავათ ასეთ უბერალესობისა ერობის შემოდება ყველა გუბერნიებში მთავრობამ ვერ იტინა საბოლოოდ და სადაც შამოადო, იქაც მხოლოდ ბიუროკრატიული დაწესებულებები საერობო საქმეთა მოსაგვარებლათ.

ᲮᲔᲓᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲩᲙᲘᲡᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲐᲠᲘ «ᲑᲔᲡᲐᲠᲑᲘᲔᲪᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ, ᲗᲘᲗᲝᲣᲠᲘᲗ: «ᲑᲔᲡᲐᲠᲑᲘᲐᲜᲘ». ᲮᲔᲓᲬᲘᲤᲔᲡᲐ ᲑᲠᲫᲚᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲮᲚᲓᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ.

30 მაისის განკარგულებით, საფაბრიკო ინსპექტორები, რომლებიც ამდენ ხანს ფინანსთა სამინისტროს უქვემდებარებოდა, ახლა გუბერნატორთ დაემორჩილა შემდეგის პირობებით: ადგილობრივი საფაბრიკო ინსპექტორები მოქმედებენ ადგილობრივ გუბერნატორებისა, ან ოლერ-პოლიტმეისტერის ხელმძღვანელობით ფაბრიკა-ზავოდებში მშვიდობიანობის დაწესებულების დასაცავად, მათი დანიშვნაც დამოკიდებულია ადგილობრივ გუბერნატორის წარმოდგენაზე. გუბერნატორებს უნდა წარუდგინონ მათ ანგარიში თავის მოქმედებისა. გუბერნატორებს უფლება აქვთ ურჩენ საფაბრიკო ინსპექტორს განკარგულებანი, თუ ამას საჭიროთ დაინახავენ კანონიერების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად, და ასეთ შეთხვევები უნდა აცნობოს ფინანსთა სამინისტროს და სხვ.

კრასნოე სელოში და მის ახლო-მახლო მდებარე საფლებში საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად გამოცხადებულ იქნა გაძლიერებული წესები.

«ᲙᲝᲡᲢᲠᲝᲛᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲮ. ᲣᲬᲔᲑ.» ᲒᲐᲦᲛᲝᲒᲒᲪᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲙᲝᲡᲢᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲣᲝᲗᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲥᲝᲜᲓᲐ ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲗᲐᲜ ᲑᲣᲡᲐᲠᲘᲝᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲠᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲛᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲒᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲘᲠᲝ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲓᲒᲝᲗᲝ ᲡᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲓᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲔᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲣᲙᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲞᲘᲠᲗ ᲩᲐᲣᲒᲐᲠᲓᲐᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲒᲝᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲐᲠᲒᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲨᲔᲛᲬᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲮᲔᲠᲮᲓᲔᲑᲐ... ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲒᲐᲖ. «ᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ» ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ №-Ს ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲣᲒᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ: ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲮᲝᲑᲐ.

ᲮᲔᲓᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲐᲗ ᲙᲣᲗᲘᲚ ᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲑᲝ-ᲑᲘᲣᲠᲑᲔᲑᲝᲠᲒᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ (ᲗᲘᲜᲦᲚᲘᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘᲐ) ᲓᲐᲜᲓᲚᲡᲡᲔᲒᲠᲣᲢᲐᲠᲘ ᲐᲒᲡᲔᲚ ᲠᲘᲣᲓᲛᲐᲜᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲣᲤᲔᲜᲡᲘᲝᲗ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ. «ᲗᲘᲜ. ᲒᲐᲖ.» ᲐᲛ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ. ᲠᲘᲣᲓᲛᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲓᲘ ᲘᲧᲝ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲝᲜ-ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ 1901 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲔᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲘᲜᲦᲚᲘᲐᲜᲓᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲛᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲗᲥᲕᲘᲗ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲣᲓᲛᲐᲜᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲐᲗ ᲜᲐᲛᲝᲣᲨᲝᲗᲘᲡ ᲗᲝᲜ-ᲙᲠᲔᲛᲔᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲔᲣᲧᲝᲡ.

«ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ» ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲕᲔᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗᲪ ᲐᲧᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲢᲝᲠᲒᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ ᲒᲙᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲪᲔᲛᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲣᲬᲣᲗᲗ, ᲓᲦᲔᲛᲓᲔ «ᲠᲝᲖᲒᲘ» ᲘᲧᲝ ᲛᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲗᲪ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲓᲔᲜ. ᲔᲮᲚᲐ «ᲠᲝᲖᲒᲘ» ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗ ᲪᲔᲛᲐ ᲣᲥᲛᲓᲔᲑᲐ. ᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲚᲘ.

საზღვარ-გარეთ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ინგლისი თავისუფალ მრეწველობის ქვეყანაა. არსად თავისუფლება ისე არა აქვს შესისხლხორცებული ადამიანს, როგორც ინგლისში. ბაკების დადება სხვა და სხვა ნაწარმოებზე წარმოების გასაძლიერებლათ იქ ეშვიათი, თითქმის შეუძლებელი მოვლენაა. შეორმოცე წლებში ბუჯზე ბაკის დადებამ გამოიწვია ჩარტისტთა მოძრაობა, რომელმაც გრანდიოზულ მანიფესტაციებით იჩინა თავი. მას შემდეგ ინგლისმა სამუდამოთ უარო მეცარველობითი სისტემა და ფრიტედერთა სამეფო შეიქნა. ასეთ ბოდიტიკას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ინგლისის საქონელს მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი ეჭირა, ინგლისის მრეწველობა გაბატონებული იყო. მარა დრონი იცვალნენ. ახლოთ ადორძინებულმა კაპიტალიზმმა გერმანიასა, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში ფეროა გაშალა და ფამის არის პირველობა ართვას ინგლისს მსოფლიო ბაზარზე, უკვე შეთხეკვაში დად კონკურენციას წუევს. აქედან დაიწყო შიში—პირველობის დაკარგვისა და ინგლისელი კაპიტალიც შეუდგა ახალ ბაზრების მოპოვებით და სახელმწიფოს დახმარებით ზღვრის გაკაგრების, ბატონობის მერჩენის. მისი ასეთ ტოდვიდან გამოსვლა ინგლისმა კოლონიათა მინისტრა—ჩემბერლენა. ის იყო პირველი დამცველი ბეჯებისა ოპისა, იგივე გამოდის მეორეობით სისტემის შემოღების მოხმრე. ამას წინეთ მინ ვრცელი სიტყვაი მიმართა ხალტეს, სადაც ამტკიცებდა, რომ ინგლისისთვის აუცილებელია საწარო ზოგიერი საგნებზე, უმთავრესი სანოვაგეზე ბაჟის შემოღება. თავის აზრის დასამტკიცებლით მან მოიყანა ის მაგალითები, რომ დღეს ყველა ქვეყნები ასეთ მეორეობას უწყვენ საამოდო წარმოებას, და ამით ᲜᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡ ᲮᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲣᲤᲔᲜᲔᲑᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲫᲚᲐᲕᲠ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲣᲬᲔᲕᲔᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორეთ ისიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კოლონიები, სადაც უცხოეთის საქონელზე ბაჟია დადებული, ინგლისს, როგორც თავის მეტროპოლიას, უთმობენ და ბაჟს უკლებენ, ჩვენ კი საშუალება არა გვაქვს მათ ასეთ დათმობაზე დათმობითვე ვუპასუხოთ. როცა ბაჟების სისტემას შემოვიღებთ, მაშინ კი ასეთი იარაღი გვექნებოდა ჩვენც. სამაგიეროს მიუძღვნიდით კოლონიებს, კანადას, ავსტრალიას და სხვ. ამის გარეშეც ბაჟების შემოღება სარგებლობას მოიტანსო. ის ყოველ მნიშვნელობას დაუკარგავს პრემიებს და სხვა ჯილდოებს, რომელსაც უცხო სახელმწიფონი აძლევენ თავიანთ მრეწველებს, რომ მათ ინგლისში ბევრათ უფრო იაფათ გაყიდონ თავის ნაწარმოები, მინამ თვითონ უჯდებათ მისი გაკეთებაო და სხვ. ამ სიტყვამ წინააღმდეგობა გამოიწვია არა მარტო ლიბერალური ოპოზიციის მხრივ, არამედ უნიონისტებსა და კონსერვატორებშიაც. თვითონ პირველი მინისტრი ბალფური—იმ აზრისაა, რომ მფარველობითი სისტემის შემოღება ინგლისში არც საჭიროა და არც სასურველი. ესევე განაცხადეს ბევრმა სამინისტროს წევრებმა. „ჩვენ ფრიტრედერები ვართ, და ამ რწმენას არ ვუღალატებთო“,—სთქვეს მათ. ასეთ პასუხმა განხეთქილება დაბადა სამინისტროს წევრთა შორის და შესაძლებელი იყო სერიოზული კრიზისი გამოეწვია. ორი შეურიგებელი შეხედულობის პირნი სამინისტროში ვერ მოთავსდებოდენ. ან ერთნი ან მეორენი უნდა გადამდგარიყვნენ. მარა ჩემბერლენმა ისეთ ხერხს მიმართა, რომელიც შეძლებას აძლევს, თუ თავისი აზრი ვერ გაიყვანა, მაინც პირნათლათ გამოვიდეს. მან მოითხოვა, რომ დაენიშნათ ამ საკითხის გამოსაკვლევათ კომისია, რაზედაც პირველმა მინისტრმაც დასტური განაცხადა, თუმცა იქვე აღიარა, დარწმუნებული ვარ, რომ კომისიის დასკვნა ჩემ შეხედულებას კიდევ უფრო დაამტკიცებსო. ამნაირათ ჩემბერლენმა გასავალი გზა მონახა. თუ მისი პროექტი არ გავიდა, რაც ადვილი მოსალოდნელია, ის გამომკვლევ კომისიას დაეთანხმება. მარა ჯერ ის არ კარგავს იმედს და თავის აზრს გულმოდგინეთ ქადაგობს ხალხში. ამას წინეთ მან მიმართა მუშებს სიტყვით, უმტკიცებდა, რომ ბაჟების დადება პურზე მათ მდგომარეობას არ გააუარესებს, რადგან მათ შეუძლიათ ასეთ შემთხვევაში ხელფასი ასწიონ. მარა ინგლისელი მუშა ისეთი შეუგნებელი არაა, რომ ასეთ სოფისტიკას ვერ მიხვდეს. თუმცა ჩემბერლენი უფრო გულისხმიერ არგუმენტებსაც დაადგა, მაგ., დაპირდა მუშებს: შემოსული ფულით კასას დავაარსებ მოხუც მუშებისათვისო. მაგრამ არც დაპირებამ გასჭრა. ხალხი მაინც წინააღმდეგია პურზე ბაჟების შემოღებისა. ინგლისის ტრედუნიონების კონგრესზე დონკესტში წამოყენებულ იქნა კითხვა ბაჟების შესახებ. კონგრესზე ორ მილიონ მუშათა წარმომადგენელი იყო. ხოლო თუ მათ ოჯახობასაც სათვალავში მივიღებთ, ეს ციფრი ათ მილიონზე აუწევს. ეს კი მთელი მეოთხედი რიცხვია ინგლისის ყველა მცხოვრებლებისა. კონგრესი წინააღმდეგი გამოდგა სარჩოვაგეზე ბაჟის დადებისა, და საზოგადოთ მფარველობითი სისტემისა, რადგან ასეთი სისტემა ფასს მოუმატებს ღარიბთა საჭმელს, შეამცირებს ხელფასს, დასთესს ერთა შორის სიძულვილს და ამით ხელს შეუწყობს გამანადგურებელ მილიტარიზმის გაძლიერებას. შემდეგ რეზოლიუცია კიცხავს ჩემბერლენის პოლიტიკას, რომელიც ხალხის სიღარიბეს და პატრიოტიზმს საექსპლუატაციო საგნათ ხდის და სპობს არსებულ კეთილ-განწყობილებას ანგლო-საქსთა ორ დიდ ნაწილ შორის. რეზოლიუციის შემდეგ კონგრესმა დაადგინა ყოველი ძალღონით იბრძოლონ პროტექციონიზმის წინააღმდეგ... პროტექციონიზმის წინააღმდეგი მიტინგი გამართეს აგრეთვე ლიბერალებმაც. ლიბერალებს ეჭვი აქვთ, ვაი თუ ტარიფების შემოღებამ უკიდურესი რადიკალები გააძლიეროს ინგლისშიც, როგორც ეს გერმანიაში მოხდაო.

ბელგია. ბრიუსელში ამ ბოლო ხანებში მოხდა მუშათა საერთაშორისო კრება. ამ კრებაზე განიხილეს ფრიად საგულისხმო კითხვა—რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ეს კითხვა გადაჭრილ იქმნა მუშების სასარგებლოთ. კრება ამ კითხვის გარჩევის შემდეგ შეუდგა საპენსიო კრების დადგენას მთა-მადნის მუშათათვის, მინიმალურათ საქირაო ფასის, აგრეთვე პარლამენტში თავის წარმომადგენლების ყოლის შესახებ.

პენსიის დარსების კითხვის შესახებ კრებამ ერთხმათ გადაწყვიტა, რომ მთელი ქვეყნის მადნის მუშებმა აგიტაცია უნდა გასწიონ საპენსიო კასების დაფუძნების შესახებ. მინიმალურ სამუშაო ქირის დაწესების შესახებ სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა და ამ კითხვის გარჩევაში დელეგატები ორ ნაწილათ გაიყვნენ. დელეგატების უმრავლესობა იმ აზრს დაადგა, რომ ეს კითხვა გარჩეულიყო კანონის მიხედვით; ინგლისელებმა კი სხვანაირათ მოინდომეს ამ კითხვის გადაჭრა; ისინი ცდილობდენ მიეღო კრებას, რომ ამ კითხვის შესახებ მუშები და მწარმოებლები ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ. მესამე კითხვაც, ე. ი. მადნების მუშათა პარლამენტში წარმომადგენლობის ყოლის შესახებ, ისევ მუშათა სასარგებლოთ გადაწყდა. ამ კითხვას ყველაზე უფრო თავგამოდებით ინგლისელი მუშები იცავდენ, რაც აღნიშნულ იქმნა ბელგიის დეპუტატის მარსარის მიერ. პატივცემულმა ბელგიელმა დეპუტატმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ბოლო ხანს ინგლისის ტრედ-იუნიონისტებმა თავიანთ ზომიერ მოქმედებას თავი დაანებეს და პირდაპირ პოლიტიკურ ბრძოლისაკენ იწყეს დრეკაო. სასიხარულო მოვლენაა!.

გერმანია. ყველაზე საყურადღებო მოვლენა გერმანიის ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში, რასაკვირველია, დეპუტატების არჩევნებია. არჩევნები სულ ყოველთვის იპყრობდა დიდს ყურადღებას, მაგრამ წრევანდელი არჩევნები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩვენის მკითხველებისთვის. ეს ინტერესი გამოწვეულია სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოცარ ზრდით და კონსერვატიულ ელემენტების შემცირებით. პირველ არჩევნებზე აირჩიეს: 88 ცენტრის პარტიისა, 57 სოციალ-დემოკრატი, 31 კონსერვატორი, 14 პოლონელი, 5 ნაციონალ-ლიბერალი. დავუპირდაპიროთ ეს ციფრები 1898 წლის პირველ არჩევნის ციფრებს:

კონსერვატორები 1898 წ.—37, 1903 წ.—31; ცენტრის პარტიისა 1898 წ.—84, 1903 წ.—88; სოციალ-დემოკრატები 1898 წ.—32, 1903 წ.—56; პოლონელი 1898 წ.—13, 1903 წ.—14; ნაციონალ-ლიბერალი 1898 წ.—10, 1903 წ.—5; ანტისემიტები 1898 წ.—5, 1903 წ.—11; რიხტერის პარტიისა (თავისუფალი მოაზრენი) 1898 წ.—1, 1903 წ.—0.

მაშასადამე, საშინლათ უმატნია სოციალ-დემოკრატების პარტიას (24 დეპუტატი—75%) ცოტა უმატნია: ცენტრს (4 დეპ.—4,76%) და პოლონელებს (1 დეპ.—7,9%); დაუკლია: ნაციონალ-ლიბერალებს (5 დეპ.—50%) და კონსერვატორებს (6 დეპ.—1,6%).

ხელმეორე არჩევნების დროს ყველაზე მეტი კანდიდატი ისევ სოციალ-დემოკრატიამ წამოაყენა: სოციალ-დემოკრატების კანდიდატები 112, ნაციონალ-ლიბერალებისა—62, თავისუფალი მოაზრე და სამხრეთის დემოკრატებისა—43, კონსერვატორებისა - 36 და ცენტრის პარტიისა 31.

ახლა კი თითზე იკბინეს ყველა ბურჟუებმა, ახლა კი ყველა მიხვდა, რომ სოციალ-დემოკრატიამ მეტისმეტათ გაიწია და ვაი თუ კერძო საკუთრება საფრთხეში ჩავარდესო. აქ კი ყველა ბურჟუაზიის წარმომადგენელნი შეერთდენ, განურჩევლათ რწმენისა და მიმართულებისა. საქმე იქამდის მივიდა, რომ მთავრობა ყველას ემუდარებოდა, ჯანი გავარდეს, თავისუფალი მოაზრეები აარჩიეთ, ოღონდ სოციალ-დემოკრატებისაგან კი დაგვიხსენითო.

ხელმეორე არჩევნების ციფრები შემდეგია: სოც.-დემ. 25, ცენტრი—11, კონსერვატ.—21, ნაც.-ლიბ.—45, ანტისემ.—8, პოლონელი—3, თავისუფალი მოაზრენი (რიხტ.)—9.

ასე რომ წრევანდელი არჩევნების შედეგი ესეთია:

1898 წელთან შედარებით:

ცენტრი	99 დეპუტ.	დაუკლია 7 დეპ. (6,8%)
სოც.-დემ.	82 ,,	უმატნია 25—(45%).

კონსერვ.	52	,,		0—(0%).
ნაც.-დიბერ.	50	,,	დაუკლია	3—(6%).
თავისუფ. მოაზრე	9	,,	დაუკლია	6—(66%).
ბოდრონ.	17	,,	უმატნია	3—(21%).
ანტისემიტი	9	,,	დაუკლია	3—(25%).

საინტერესოა რამდენიმე წერილმანი ცნობა: სოციალ-დემოკრატია. ტუუიდად არ ამბობს გაზეთი „ფორვერტსი“: „გულ-უბრალოდ სოციალ-დემოკრატებმა ერთ მშვენიერს დილას დაინახეს, რომ მომავალ წესწყობილებაში გაჩენილნო“. კელნში და მაინცში, ამ «კლერიკალების ციხეებში», სოც.-დემოკრატების მომხრეები რამდენიმე ათ-ათასს აღემატება. 1898 წ. სახელოვან ლიბკნეხტს 58,000 ხმა ამოუვიდა და მის მოაღგილე ლედებურგს კი—რომელიც სრულიადაც არ არის გამოჩენილი—წრეულს ამოუვიდა 79,000 ხმა. 1898 წ. ზინგერმა 45,000 ხმა მიიღო, ახლა კი 65,000.

საკვირველია, რომ სოც.-დემ. ასეთმა საოცარმა ზრდამ გაახარა ისეთი მწერლებიც, რომელთაც სოც.-დემოკრატიასთან არაფერი საერთო არ აქვთ: მაგ., „რუს. ვედ.“, ან ჩვენი „ცნ. ფურ.“. ეს სიხარული, უეჭველია, სხვადასხვა მოსაზრებით არის გამოწვეული. «რუს. ვედ.»-ის კორესპონდენტი სხვათა შორის შემდეგს იწერება: «გუშინ ფრიდრიხშტრასსზე (ქუჩა ბერლინში) დამის 2 საათამდის აუარებელი ხალხი იდგა და არჩევნების შედეგს ელოდა. უოველი ახალი ცნობა სოც.-დემ. გამარჯვების შესახებ მუშებში აღტაცებას იწვევდა, ბიურგერებში კი—განცვიფრებას. მაგრამ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას არავინ სადვლობდა ბანკირი თავის ფულის ზანდუკის გადარჩენას არ ფიქრობდა... სოც.-დემ. უველა ისე კი არ უტქვრის, როგორც კოლლეკტივისტებს; უველა ხედავს, რომ სოც.-დემოკრატები გულახდილი, პირში მოქმელი ხალხია, რომ ისინი დაურიდებლათ იტყვიან სიმართლეს და ამისათვის საიმედო ხალხია რეაქციისა და იუნკრების (მემამულეების) წინააღმდეგ საბრძოლველათ». უეჭველია, ოპპოზიციურ ორგანოებსაც სწორეთ ამ მოსაზრებით უნდა ითქვა სოც.-დემ. გამარჯვება.

უველს უკვირს ასეთი საკვირველი ზრდა სოც.-დემ. პარტიისა და უველა თავისებურათ ცდილობს ახსნას ეს ზრდა. «პეტერბ. ვედ.»-ის სიტყვით, ეს ზრდა იმით აიხსნება, რომ საზოგადოების თითქმის უველა ნაწილები მთავრობის უკმაყოფილონი არიან: «დაბალი წოდების ხალხი საშინლათ გაბრაზა ახალმა სადამოუნოტარიუმმა და იმან, რომ მთავრობა ცხადათ ემხრობა ფეოდალურ თავად-აზნაურობას, რომ მთავრობის წყალობით დაბალი ხალხი უნდა ეწვალებიან მდიდრების განცხრომისათვის. პროტესტანტები გაბრაზებული არიან იმით, რომ მთავრობა ამ ბოლო დროს ძალიან ეფერება კათოლიკეებს და ვატიკანს. კათოლიკეები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მთავრობის წრეებში არც ერთი წარმომადგენელი არა ყავთ: სულ უველა მინისტრები პროტესტანტები არიან. აგრარიები იმ აზრისანი არიან, რომ მთავრობა მეტათ მხარს უჭერს ინდუსტრიას და ვაჭრობას. ვაჭრებს და კაპიტალისტებს კი ჭკონიათ, რომ მთავრობა მეტის-მეტათ «ასუქებს» აგრარიებს. საქსონია გაბრაზებულია კრონპრინცესას სკანდალით. ერთი სიტყვით, გერმანიაში უველანი უკმაყოფილონი არიან და მთავრობას პროტესტს უცხადებენ. ამით აიხსნება სოც.-დემ. სოცარი გამარჯვება.» რასაკვირველია, ამ კარგმოებასაც ექნება გავლენა არჩევნებზედ, მაგრამ, ვინც სოც.-დემ. პარტიის მოქმედებას უკვირდება, კაიგების, რომ უმთავრესი მიზეზი მისი გამარჯვებისა საზოგადოების უკმაყოფილება არ არის. ამ მიზეზს «რუს. ვედ.» კორესპონდენტის სიტყვებიდან უფრო ადვილათ შევიტყობთ: ეს კორესპონდენტი აგვიწერს, რა გატაცებით ეპერობიან მუშები თავის პარტიის ინტერესებს და სხვათა შორის შემდეგს ამბობს: «ბევრი წეკრი პარტიისა ბრუნდება ეტლით ბიუროში და თან მოჰყავს ამომრჩეველი, რომელიც ბოდიშს იხდის, დამავიწყდა, რომ დღეს არჩევნებია, ან გვეგონა, საწერონი არა გართო. ფაბრიკის მუშებისგან ამისთანა პასუხს თავის დღეში ვერ გაიგონებთ: მაგ., მათ მშვენიერათ იციან, რომ მე-4 და მე-6 ოდქებში ეროვნულ-ლიბერალური და დედებური იქნებიან არჩეულნი, მაგრამ ამაზე [illegible] ვალათ რაცხს, ხელი შეუწყოს თავის პარტიის დიდს გამარჯვებას, რომ სოც.-დემ. კანდიდატებმა დიდის ხმის უმეტესობით გაიმარჯვონ.» სოც.-დემ., მაშასადამე, ძალიერდება იმიტომ, რომ პროდეტარიატი უველა პარტიაზე უფრო შეთანხმებულია, უველა პარტიაზე უკეთ აქვს შეგნებული თავის პარტიის ინტერესი, უველა პარტიის წარმომადგენლებზე ძალიან რწამს, რომ მისი პარტია წმინდა საქმისთვის იბრძვის, და უველაზე უფრო იმედი აქვს, რომ მომავალი მისია. აი, ამით აიხსნება სოც.-დემ. გაძლიერება.

სამშობლოს ცაზე

იქნება ველარც კი ვიცნოთ ერთმანეთი, ჩემო მკითხველო, იმ დუმილის შემდეგ, რომელიც აგერ ერთი თვეა რაც «კვალს», ვითარცა ᲝᲚᲥᲚᲝᲛᲘ, მისჭედია ენაზე? შესაძლებელია განცვიფრებით შემოჰყურებდეთ ამ მუნჯობიას. კითხულობდით და ვერ გაგეგოთ მისი მიზეზი. მიზეზი, დიახ მიზეზი... მაგრამ ისევ თქვენვე გკითხავთ: განა დიდი რამ მიზეზია საჭიროა ჩვენ დროში კაცის დასამუნჯებლათ? ამ გვარი მიზეზი ბევრია და ყველა იგინი კი განიყოფებიან «გარეშებათ» და «შინაგნებათ». რაც შეეხება „გარეშე“ მიზეზთ ეს აქ-ობამდე ყოველთვის გვამუნჯებდა ნახევრათ. ეს ასეც იქნება კიდევ კაი ხანს, მაგრამ რაც შეეხება „შინაგან“ სატკივარს, ამას კი სწორეთ არ ველოდი თვით მეც. რას იტყვით, ან როგორ ბრძანდებით, რომ უცებ რომელმამე თქვენმა მეგობარმა მოულოდნელათ ააკრას ენა სასასა თქვენსა? აი მიზეზი მუნჯობიასი. თუ ციხე შიგნიდან ტყდება, შიგნიდანვე იკეტება და ეს მეორე ანდაზა კი ახლა ჩვენზე.

ეჰ! რაც იყო, იყო! მახლას და ათასჯერ მახლას. არაფერი არ უნდა გიკვირდეს, ჩემო ჰორაციო, ცასა და ქვეყნის შუა.

ახლა კი კვლავ ენაამოდგმულს, ნება მიბოძეთ ისევ „სამშობლოს ციდან“ გემუსაიფოთ. მაგრამ რომელ ერთზე? რა არ მოხდა ამ ერთი თვის განმავლობაში არა თუ „სამშობლოს ცის ქვეშ“ არამედ მის გარეთაც? ხოლო რაც მოხდა გარეთ, ის არ მომხდარა ჩვენში და მისი მოხდენა კი... მაშ ვილაპარაკოთ მხოლოთ მაზე, რაც ხდება ჩვენში.

* * *

და ჩვენში კი ყოფილა ერთი ვინმე სამშობლოს მოღალატე. ეს მოღალატე ყოფილა ფული. მისი აღმომაჩენელი კი თავადი ილია ჭავჭავაძე. აი ბატონებო, ეს აღმოჩენაც როგორ აღმოჩინებულა: აღმომაჩენელი ამ წლის 22 მაისს ყოფილა სოხუმში. იქ ერთ ბაღში გამართულა თავისთავათ საღილი. თავისთავათვე გამართულა რეჩობანა და თავისთავათვე თავად ილიასაც გაუნდვია ტრაპეზისთვის შემდეგი:

«იგივე პატივცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვნით, მეტისმეტია და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, რომელიც მტირეოდენ დაწყლსაც კი დიდათ ათვასებს ხოლმე. მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემ თავათ დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებულ პატივცემისთვის და დმერთს ვთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა იმ საშინელ განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თავალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქამომდე ამ მშვენიერს ათეასზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმალით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმათ, ქურდულათ, როგორც მაცდური და

მპარავი, იგი მტერია ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ, და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელნიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ქნას და თამამ ხმლისგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოთ და თქვენდა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროთ და თავ-მოსაწონებლათ («ივერია» № 118)».

როგორც ხედავთ ფული ყოფილა დღეს „მაცდური, მპარავი, გაიძვერა, მზაკვარი და მოღალატე“. ვეთანხმებით ორატორს, რომ ეს ასეა. თვით იესოც კი ფულზე გაიყიდა. მისი გამყიდველი იუდაა. მაშასადამე ვინც იძლევა ფულისაგან და თვის მიწა-წყალს გაყიდის ფულზე, იგიც იუდობას ეწევა სამშობლოსთვის. ის მოღალატეა, ის მზაკვარია, ის მაცდურია! წაიყვათ სახრჩობელაზე! და სიათ კი წაიმძღვარეთ „ივერიის“ ფურცლები, სადაც გამოცხადებულია, თუ რამდენი მამული გაიყიდა დღიდან თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებისა. ხოლო ძნელი გამოსაცნობი კია, აქ ბანკია საჯალათო, ის, ვისაც მის მეოხებით მამული ეყიდება, თუ ის, ვინც ხელს უწყობს ყოველსავე ამას?

აი რა დასკვნა-კითხვებამდე მიიყვანს კაცს წინდაუხედავი სიტყვა. თავად ილიას „სამშობლოს მაჯა ხელში უჭირავს“, მისი სიტყვებიდან კი მტკიცდება, (თუ ფულს მოღალატე დავუძახეთ) რომ მაჯა კი არა მას სჭირებია ხელში ის ხლართი, რომელშიაც სამშობლო ხრიალებს, ვინაიდან თავადი ილია განაგებს ამ ფულს თავად-აზნაურთა ბანკისას, რომელიც თურმე მოღალატეა სამშობლოსი.

პრა, ძმავ, ისევ ერთი თვის მუნჯობა სჯობნებია ერთი წუთით ბალში საჯაროთ თავისთავის გამათრახებას!

*
* *

ხოლო როცა თავს თვით იმათრახებ, შენვე ხარ დამნაშავე და შენვე სჯი დამნაშავესაც, მაგრამ ძნელი ის არის არც დამნაშავე იყო და მაინც გამათრახებდენ. აი ამისთანა უდანაშაულოთა გამათრახვაც: ,,ნოვ. ობოზ.‘‘-ეს სწერენ.

«სოფ. საშაბუროდგან. იქაურ მებატონეებს შაბურაშვილებს, ფავლენიშვილებსა და კეზელებს პირი შეუკრავთ, რომ გლეხის ნახირი და საქონელი აღარ გაატარონ საბატონო სამოვარს ადგილზე, დარაჯები დაუყენებიათ და გუბერნატორისათვის დახმარება უთხოვნიათ. მაზრის უფროსს ბრძანება მისვლია, მორიგებით გაათავე ეს საქმეო. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო ყოფილა. გლეხებმა უარი განაცხადეს, ჩვენ საბალახოსა და სამოვ-რს არ გადავიხდითო, და გადასწყვიტეს თურმე მებატონეებთან მეზობლობა მოსპონ და თავის მიწაზედაც მათი საქონელი არ გაატარონ. გლეხების ერთობას ადგილობრივი ბოქაული დასწრებია და, როგორც იყო, გლეხობა დაუშოშმინებია, ორი ნაცვალი, მამასახლისის თანაშემწე და ერთი გლეხი დაუპატიმრებია».

Თავადებმა უსასყიდლოთ არ გაატარეს გლეხები თვის მამულში, გლეხებმაც არ გააჭაჭანეს თავადები თვის მიწაზე; ეს ბადალი-ბადალში, მაგრამ ორი ნაცვალი, მამასახლისის თანაშემწე და ერთი გლეხი, —,,ზაჩემ ნა მეტეხუ პოშოლ?!‘‘

*
* *

ეს ისევ იმათ ვკითხოთ, ვისაც სამშობლოს მაჯა ხელში უჭირავს და ყურსაც უგდებს მის ძარღვის ცემას. მაგრამ უფრო თვალსაჩინო პასუხს ისენი გვაძლევენ ერთს კითხვაზე, რომელზედაც ისენი წინეთ სულ სხვა ნაირათ გვებაასებოდენ. პასუხიცა და კითხვაც შეეხება ცნობილ ქართველ პატრიოტს ველიჩკოს.

ვის არ გახსოვთ, ბატონებო, ის დღე, ის წუთი, როდესაც საქართველოს მაჯის შემტყობნი ბუკითა და ნაღარით მიეგებენ ამ პატიოსან გვამს. მე თვით, რომელსაც, მართალია, მაჯა არ მეჭირა ხელში, მაგრამ მაინც ,,ივერიის‘‘ რედაქციაში ვმსახურებდი, კარგათ მახსოვს, რა აურზაური, ალიაქოთი, მტვერი და კორიანტელი ააყენა ამ რედაქციამ ხსენებულ გვამის დასახვედრათ. მახსოვს ის ბედნიერი გულის ძიტინი, რომლითაც სტკბებოდა ,,ივერიის‘‘ რედაქცია, ველიჩკოს ხატებით. მახსოვს ის სატრაპეზო სია, რომელიც დაჰქონდა ერთ აწ განსვენებულს რედაქციის თანამშრომელს ხელმოსაწერათ სავახშმო ქანქარისთვის (ოხ, ეს მოღალატე ქანქარი!). მახსოვს ისიც, რა აღტაცებით ლაპარაკობდა რედაქცია ვახშმის მეორე დღეს. მახსოვს და ვიკვირს, როგორ არ დაინაწილეს თვისი ღმერთი მეტრაპეზეებმა და არ მიისვენეს უბეში, ვითარცა საქართველოს წმინდათა წმინდა. მახსოვს ყველა ის ტაში, ვაშა და ურა, რომელსაც მიუძღვნიდენ ველიჩკოს. მახსოვს ისიც, რომ სახელი მისი ქართულათაც კი გადმოთარგმნეს და უწოდეს დიდებულიძე. ერთი სიტყვით ის რაღაც შეცდომით ველიჩკოა, თორე ნამდვილი დიდებულიძეა —ქართველი, ქართველზე ბევრით ქართველი! მახსოვს ისიც, როგორ დაატაკა ,,ივერია‘‘ ,,ნოვ. ობოზ.‘‘-ისს ამ ქართველების ახალმა კერპმა. მახსოვს ისიც, როგორ აყვენ ქალებიც კაცების ფეხის ქვას და თვის პატრიოტობას იჩენდნენ ისენიც ველიჩკოსადმი ფიანდაზ-ვარდ-ყვავილების მირთმევით.

Ოხ, მახსოვს ყოველივე ეს და მახსოვს ისიც, როგორ გადმომიგდო უკან რედაქციის გამგემ ერთი ლექსი, რომელშიაც აწერილი იყო, როგორ გაუმართეს მშიშარა ტურებმა გაიძვერა მელას ვახშამი. მე სამშობლოს მოღალატეთ ჩამთვალეს. მაგრამ ვაი სირცხვილო..ვაი, იმ თითებს, რომელსაც ასეთი მაჯის შეტყობა სცოდნია.

ველიჩკო, ჩვენი უბადლო დიდებულიძე — ველიჩკო, იცით, რას ემუქრება ქართველებს? ციმბირში გადასახლებას, რადგან თურმე სამშობლო მათთვის მხოლოდ სამარე ყოფილა. ამაზე თვით «ივერიამ» უკვე ამოიკვნესა და შეინანა თვისი დახარჯული ფლავ-ბოზბაში, მაგრამ რაღასღა არგებს თითზე კბენანი.

მე კი მხოლოდ ის მიკვირს, რომ «ივერიამ» ველიჩკოს სურვილები ქართველების გასაციმბირებლათ არ ახსნა, როგორც სჩვევია ამ გაზეთს, სულ სხვანაირათ. მას თამამათ შეეძლო ეთქვა: «დიდებულიძეს ჩვენი სამშობლოს გაგანიერება სურსო», თორე ასე აქვეყნოთ აოის წლის წინეთ ნივრის ჭამა და ათი წლის შემდეგ პირის აწვის გამომჟღავნება ცოტა არ იყოს სასაცილო მდგომარეობაში აყენებთ საქართველოს „მაჯისტებს‘‘.

*
* *

ისევე, როგორც სამწუხარო მდგომარეობაში აყენებს ჩოხა, თბილისის ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში სეირნობის მსურველთ. ჩოხა თურმე ჩვენი პოლიციის დიაგნოზით რაღაც უწმინდურება ყოფილა, პიჯაკი წმინდათა წმინდა. და აი თვით ბაღიც მან გაყო უწმინდურთათვის და წმინდათათვის: ქვემო ნაწილი ეკუთვნით ჩოხოსნებს, ზემო—პიჯაკოსნებს. ასე გაყო ცხონებულმა ნოემ კიდობანში უწმინდურნი და წმინდანი პირუტყვნი და ყველას მიუჩინა ცალკე განყოფილება. მაშასადამე ალექსანდრეს ბაღსაც ახალი აღთქმის ნოე მოვლენია, რომელსაც განყოფილებათა დასაცველათ, წმინდათა უწმინდურთაგან გასარჩევათ დაუყენებია ბჭეში ანგელოზი. ხოლო ეს ანგელოზი მეტის-მეტათ გულმოდგინეთ ეპყრობა ჩოხიანთა ქჩოს, თუ მათ კიდობნის მეორე ნაწილში შესვლა მოინდომეს.

№ 21—1903 წ. ‘ ‘ ‘

ცა გაიღვიძებდა, დაუძახებდა ძიძას, რომლის ოთახიც იქვე საწოლის გვერდით იყო, და ქრისტინესაც მოყავდა ბავშვი. მაღალ, განიერ კრაოტზე არშიებიან თეთრ ლოგინში იწვა ეს ლამაზი, მსუქანი ქალი და ქრისტინე უნებურის აღტაცებით და მოწიწებით შესცქეროდა მას.

— რა, ძიძა, მოგწონს ჩემი გული და მკლავები, ძალიან ჩასახუტებელი ვარ ხომ? იცი ჩემთვის ერთმა ოფიცერმა თავი მოიკლა, ჩემი ფანჯრის წინ ჩამოიხრჩო თავი, ორი დუელი იყო ჩემი გულისთვის, მხიარულის ღიმილით ამბობდა ის.

ქრისტინეს ამისთანა ლაპარაკი პირველათ ერთობ ეოცებოდა და ზიზღს გვრიდა.

— მომეცი აქ ქორჟეტა! გამოართმევდა ძიძას პაწაწინა ბავშს, აკოცებდა და ისევ აძლევდა უკან.

— როგორ ფიქრობ, ძიძა, ლამაზი იქნება, სულ გააგიჟებს მამაკაცებს?

— ღმერთმა დუუცვას, კაცები რომ გადარიოს, წყენით ეუბნებოდა ქრისტინე.

— არა, შენ თავის დღეში არ გყოლია საყვარელი? აა? იცინოდა ქალბატონი.

— სიყვარული ცხოვრების ყვავილია—უთხრა მას ერთხელ ტასიამ—და კრიფო და კრიფო უნდა, სანამდის ახალგაზრდა ხარ—დაუმატა მან სიცილით.

— ტუტუცი ხარ და იმიტომ ამბობ მაგას. შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აქეთ გამოგიშვა,—ეტყოდა ხოლმე მას ბუზღუნით მზარეული ქალი, როცა გაიგონებდა ამ გვარ ლაპარაკს.

— რომ დავბერდები, მეც მასე ვიტყვი,—ხარხარებდა ტასია.

— ამ ნაირათ გავიდა ორი თვე. ქრისტინე ერთხელ ცირკში გაუშვეს, მეორეჯერ ის და ტასია ახალ ჩამოსულ ფარშევანგის კუდიან ქალის სანახავათაც იყვენ, რომელმაც ერთობ გააოცა ქრისტინე. ის კი არ იცოდა, თუ ქალს ჩიტის კუდი ხელოვნურათ ქონდა მიბმული და მართულებით იმღებოდა. ქრისტინე თავის თავს სრულიად ბედნიერათ გრძნობდა და გულში უმადლოდა დედამთილს, რომ ეს ძიძობის საქმე მოაგვარა. მას ახლა აკვირვებდა ის მწარე მოგონებანი, რომელიც მან გამოიარა. ბავშის მოგონებაც ისე აღარ აღელვებდა. ის დარწმუნებული იყო და სჯეროდა, რომ როცა დაბრუნდება შინ, შვილი ისევ უწინდებურათ შეუყვარდება მას, თუმცა ეს მომავალი დრო ბუნდოვანათ ქონდა წარმოდგენილი და ის უკმაყოფილო გრძნობა, რომ თავის „მაროიას“ ასე ჩქარა მოაკლო მისი დედობრივი სიყვარული, პატარა ხიჭვივით ესობოდა გულში.

ქრისტეშობის უკანასკნელი დღე იყო. მეორე დღეს, ახალ წელიწადს კოწია უნდა ჩამოსულიყო, და ქრისტინე რაღაც გამოურკვეველის სიხარულით თუ წყენით,—თითონაც არ იცოდა, რა გრძნობა იყო,—ელოდა მას აღელვებული.

სახლში დიდი ფაცა-ფუცი და მზადება იყო. ალაგებდენ და სწმენდდენ სახლებს, იატაკის დიდრონ ხალიჩებს აპრიალებდენ ფანჯრებს და, თუმცა ახალ წელიწადს ბატონები სამხედრო კლუბში ეგებებოდენ, საახალწლო სუფრა მაინც უნდა გაეწყოთ შინ და დიდი სამზადისი ქონდათ. ქალბატონი ელოდა მკერავისგან თავის ახალ კაბებს, ჯერ კიდევ არ მოქონდათ და აღელვებული დადიოდა ერთი ოთახიდან მეორეში, თმებში დასახუჭუჭებელი ქაღალდებით და შპილკებით თავ შეჭუჭკული, აძლევდა მოსამსახურეებს განკარგულებას. ვაჟბატონი მორიგი იყო კლუბში და დილას რომ წავიდა, აღარ მოსულა. მარტო ერთი ქრისტინე იყო უსაქმოთ. ის იჯდა თავის დიდ, ნათელ ოთახში, სადაც მაღალ, დაწნულ კალიასკაში ეძინა მის გაზრდილს. ბოლოს მობეზრდა ჯდომა, ადგა, გადახედა ბავშს, გაუსწორა საბანი და წავიდა სამზარეულოში. იქ გახურებულ ქურასთან, მთლათ გაწითლებული და გაოფლიანებული მზარეული ქალი ხარშავდა, აცხობდა და აკაზმავდა „ბატონების სახეთქს“, როგორც თითონ ამბობდა; მაეხმარებოდა მეორე სალდათი, რომელიც დღესასწაულებისთვის განგებ იყო ჯარიდგან მოყვანილი.

— არა, ორი არიან და ოცმა უნდა ემსახურონ ბუზღუნებდა მზარეული,—არა, ეს არ ვარგა, ფიე! ის ვერ არის ლამაზათ გაკეთებული, ეს არაა გემრიელი“,—გამოაჯავრა მან ქალბატონი.—არა, ასე ადვილი თუ არის, ერთი თითონ შემობრძანდი და გააკეთე ამ სიცხეში. თითონ შემობრძანდება, ხელთათმანებს იცვამს, ხელები არ გამიფუჭდესო და აქ თუ გინდა თავი მოიკალი, ოღონდ თითონ კი „ხეთქოს“ გემრიელი და შენი რა დარდი აქვს. მაგრამ ამავე დროს სიფრთხილით აწყობდა ხონჩაზე და დიდ თეფშებზე ინდოურებს, გოჭებს, ტკბილ ხაჭაპურებს და რთავდა დარჩენილ წვრილათ დაჭრილ ქაღალდებით.

ქრისტინემ მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით დასაჯდომათ, მაგრამ საშინელი არეულობა იყო: ან საჭმელი, ან რამე ჭურჭელი ელაგა ყველგან, საითაც კი მიიხედა მან, და დასაჯდომი ადგილი ვერ იშოვნა. ქრისტინე ცოტა ხანს გაჩერდა, მიტრიალ-მოტრიალდა და შურით დაუწყო ყურება ამ მოსაქმე ხალხს, რომლებიც თავის საქმეში გართულნი, არც კი აქცევდენ მას ყურადღებას და ის ესევ გამობრუნდა თავის ოთახისკენ. ტასიას და დენშჩიკს შუშაბანდიდან შექონდათ ოთახებში სავარძლები, მაგიდები, სკამები და სხვა ავეჯეულობანი. ორივენი გამტვერულნი გაწითლებულნი ჩუმის, მაგრამ მხიარულის სიცილით იცინოდნენ. ქრისტინემ გაიარა სასადილო ოთახი და შევიდა თავის ოთახში. ბავშვს ისევ ეძინა მშვიდობიანის გამაძღარის ღიმილით; ქალბატონი თავს ივარცხნიდა თავის ოთახში. „მარტუაი მე ვარ მეტი“. გაიფიქრა მან და ერთბაშათ საშინელი მოწყენილობა იგრძნო. მას შინ, შინ თავის ოჯახში თავის ქმარ შვილთან მოუნდა ყოფნა...

„ყველაი ემზადება, ყველაი ბედნიერია, და მე ჩემ ბინანასაც ვერ ვნახავ ამისთანა დღეს, ღმერთო, რეიზა გამაჩინე ამისანა უბედური“! მას გაახსენდა, როგორ გაატარა ეს დღე შარშან შინ, როგორ ფუსფუსებდა და ემზადებოდა, დილიანა დაალაგა ყველაფერი, დააცხო ხაჭაპურები. სწორეთ ეს დრო იყო, როცა კოწიამ ჩიჩილაკი ამოიტანა ქალაქიდან, როგორ ლამაზათ გააწყო მან ვაშლებით, კურკანტელით და სუროთი, როგორ ჩაურთო სუროს მწვანე ფოთლებში ოქროსავით ყვითელი მისი ნაკეთები აბრეშუმის „ლანდი“...

გაახსენდა, როგორ ადგა დილით, „კალანდას“, ჩაიცვა მწვანე „შალის“ კაბა, რომელიც მაშინ ისე ლაქებიანი და გახუნებული კი არ ეჩვენებოდა, როგორც აქ ეჩვენა.

მოაგონდა როგორის განსაკუთრებულის სიხარულით და სიყვარულით უცქერდა ქმარი იმ დღეს მას, რადგანაც ეს კაბა წინ დამოკლებოდა და ქრისტინეს ოთხი თვის ორსულობა უფრო თვალსაჩინო შეიქნა... რაც უფრო მეტს ფიქრობდა თავის ოჯახზე, უფრო და უფრო უცხოველდებოდა იქ ყოფნის სურვილი. უნდოდა ჩახუტებოდა თავის ფუნთუშა გოგონას, დაეკოცნა ის და ელერსებინა მისთვის უანგარიშოთ. ამ აზრებმა და სურვილებმა ისე გაიტაცეს ის, რომ აღარაფერი აღარ იქცევდა ირგვლივ მის ყურადღებას. მას სიზმარივით ესმოდა, როგორ დაალაგეს ყველაფერი, როგორ მოუტანეს ქალბატონს კაბები მკერავისგან, როგორ იცვამდა ტანზე. მერე როცა დაბინდდა აანთეს ლამპრები. ბავშვმა ორჯერ გაიღვიძა კიდევაც, ჭამა და ისევ დაიძინა... ქრისტინე თითქო სხვა ქვეყანაში იყო, არაფერში მონაწილეობას არ

ილებდა და მხოლოდ ბავშვს არ აკლებდა თავის მოვლა-მოფერებას.

გაისმა ზარის წკარუნი, და ქრისტინემ დეზების ჩხარუნზე იცნო, რომ მოვიდა მაღალი, ლამაზი, შავგვრემანი აფიცერი, რომელიც ხშირათ დადიოდა და, როცა ვაჟბატონი არ იყო შინ, ქალბატონს კოცნიდა კიდევაც. ქრისტინემ ეს იცოდა, რამოდენიმეჯერ შეასწრო თვალი, და ხანდისხან მასაც ასაჩუქრებდა ხოლმე ფულით. ცოტაოდენი ლაპარაკის შემდეგ გაიღო მისი ოთახის კარები და სიცილ-კასკასით შამოცვივდენ ოთახში შრიალითა და ჩხარა-ჩხურით ქალბატონი და შავგვრემანი ულვაშებ აწკეპილი, მაღალი, წვრილი აფიცერი. ცისფერი ჰაეროვან აბრეშუმის კაბით და არშიებით მორთულ ქალბატონს გული, მხრები, ზურგი და მკლავები ტიტველი ქონდა. ქრისტინეს თავის დღეში არ უნახავს ამნაირათ მოკაზმული ადამიანი; ქალბატონი ჩაუცმელი ეგონა და შერცხვა, მაგრამ რა შეხედა მხრებთან და წელში გაკეთებულ ყვავილებს, თავზე, თმაში შიგა და შიგ ჩართულ ბჟყვრიალა-მოელვარე სავარცხალ-ქინძისთავებს, მიხვდა, რომ ქალბატონი სრულიად ჩაცმული იყო და რომ ასე აპირებდა კლუბში საცეკვაოთ და ახალი წლის შესახვედრათ წასვლას, მას კიდევ უფრო შერცხვა და ყურებამდის გაწითლდა. ორივენი მივიდნენ კალიასკასთან, რომელშიდაც ბავშვს ეძინა, დედამ გადასწია ფარდა, დაიხარა და რაღაც უთხრა აფიცერს რუსულათ. აფიცერმა პასუხის მაგივრათ მოხვია მას ორივე ხელები, გადაუწია თავი და ტუჩებში აკოცა.

— კაბა, კაბა, თმა!—ყვიროდა სიცილით ქალბატონი.

— ოი, ოი, ოი,—უკაცრავათ,—იცინოდა აფიცერი და კიდევ და კიდევ ხარბათ კოცნიდა ქალს. ამ დროს იმათ ორივემ შეამჩნიეს კუთხეში თავის ლოგინთან ამდგარი ძიძა; ორივენი შეკრთენ მის დანახვაზე, მაგრამ თითქოს არაფერიაო, არ შეიმჩნიეს და ისევ ისე სიცილ-კასკასით გაუდგენ კარებისაკენ მეორე ოთახში გასასვლელათ. კარებთან უცებ მოტრიალდა ქალბატონი და მხიარულის ცელქურის ღიმილით დაუქნია თითი ქრისტინეს.

— ჩუმათ, ხომ იცი ჩემი... უთხრა მან.

— ახ, მარჯლა,—შეჩერდა აფიცერიც, მან მარდათ გადიწია მუნდირი და ჯიბიდან პორტმანი ამოიღო, გაშალა, ამოარჩია ხუთ მანეთიანი ოქრო და გადაუგდო ქრისტინეს ლოგინისკენ,—აი ძიძა საახალწლოთ, მომილოცავს ახალი წელიწადი,—და ისევ ისე ჩხარა-ჩხურით გავიდა ოთახიდან ქალის შემდეგ. ქრისტინეს რაღაც ეჩოთირვბოდა ეს ფულის ჩუქება აფიცრისგან, მაინც ესიამოვნა, ხუთმანეთიანი რომ დაინახა და თავის უნებურათ თითონაც არ იცოდა რისთვის, ეს ლამაზი აფიცერი შეადარა თავის კოწიას და ვაჟბატონს. მან უმედოდ ღიმილით გაიქნია ხელი და თქვა: „ეხ, კოწიეი გლახა, რა კაცია იგი“. მაგრამ მისი სულის მდგომარეობა ერობაშათ შეიცვალა. ოჯახი, შვილი, ქმარი რაღაც შორეულ უშინაარსო სიუყვებათ გადაიქცა მისთვის. ის საჩქაროთ მივიდა სარკესთან და ჩაიხედა შიგ. იქიდგან მას გადმოხედა ახალგაზრდა, ჯანსაღმა, მაყვალსავით შავთვალებიანმა, პატარა წითელი ტუჩებით მომღიმარე სახემ, რომელსაც ორი დიდი ნაწნავი წაბლის ფერი თმა გადმოგდებოდა მარცხენა მხარზე. „რა ლამაზია ეს ქრისტინე!“ თითქმის ხმა მაღლა წარმოსთქვა მან და სიხარულით გაუელვეს თვალებმა.

მეორე დღეს დაინახა თუ არა ქრისტინემ კოწია, სიხარულის მაგივრათ ეწყინა კიდევაც. სამზარეულოში არავინ არ იყო. მოსამსახურეები დღესასწაულების გამო დათხოვნილები იყვენ და სასეირნოთ წავიდ-წამოვიდენ, ხოლოდ ჯარიდან ახლათ-გამოყვანილი სალდათი დარჩა შინ, რომ სადარბაზოთ მომსვლელებისთვის კარები გაეღო. ქრისტინემ კოწია სამზარეულოში შეიყვანა და თუმცა მის მეტი იქ არავინ იყო, მაინც შერცხვა მისი ძველი ტანისამოსის და [illegible] ხედაობის; ერთობ გულ-გრილათ დაუხვდა მას.

კოწია იმ აზრით ჩამოვიდა, რომ მთელი დღე ცოლთან გაეტარებინა, დაწვრილებით გაეგო მისი ამბავი, მასაც ეამბნა ყველაფერი შინაური ამბები, თავისი სინანული ქრისტინეს ძიძათ გაშორების შესახებ, და სხვა მრავალი სოფლის ავან-ჩავანი; მაგრამ მის მსუქან გალამაზებულ, მოკაზმულ გარეგნობაზე მიხვდა, რომ ძიძის მდგომარეობა სასიამოვნო და სასურველი იყო მისი ცოლისთვის. ეს რომ შეატყო, მას თითქო ზნეობრივი სილა გაარტყესო, ხმა ჩაუწყდა, გული ჩაიხვია და ცოტა ხნის შემდეგ შინ წასასვლელათ აჩქარდა.

— არა, არა მეიცაი, საჭმელი ჭამე ჯერ და საჩუქრებსაც გაჩვენებ, უთხრა ქრისტინემ მას და მხიარულათ გაიქცა ოთახებისკენ.

— აი, ქალბატონმა მაჩუქა საახალწლოთ, მიაწოდა მან კოწიას, როცა უკან დაბრუნდა, მოწითალო ფერის შალის საკაბე.—აი, ვაჟბატონმა ფულათ სამი მანათი, აგინს წაგატან ყველას შინ, ფული კიდევ მაქ, მაჩუქეს. მან გამოუტანა კოწიას საჭმელები, დაულაგა მაგიდაზე და თითონ დაჯდა მის პირდაპირ სკამლოგინზე. კოწია შეუდგა მოწყენილი უხალისოთ ჭამას.

— აჰ, რა, რა ამბავი იყო გუშინ აქანაი, რომ იცოდე? რაფერი მოკაზმული წევიდა ქალბატონი კლუბში!—ქრისტინე შეჩერდა ცოტა ხანს და, რადგან კოწია ხმას არ იღებდა, ცელქურათ განაგრძო,—ცისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა არშიებით და ყვავილებით მორთული და შენ წარმეიდგინე აქამდი, აქამდი და აქამდი, აჩვენა მან მკლავებზე, ზურგში და გულზე. მკლავები, ზურგი და გული თლა შიშველი ქონდა.

— შიშველი! გაოცებით დაჭყიტა კოწიამ თვალები და ლუკმა, რომელიც პირში უნდა ჩაედვა, ხელში დარჩა პირთან გაჩერებული,—„რავა ფართალი არ ეყო თუ რეიზა ნეტაი?

ქრისტინემ გადიხარხარა.

— ფართალი არ ეყო კი არა, მოდაა მაი, მოდა, დიდკაცობა ყველაი მასე იარება საცეკვავათ

კოწია ისევ მოიღრუბლა, მას ეწყინა ცოლის ლაპარაკის კილო, რომელიც მას აბუჩათ იგდებდა. ჩაჩუმდა ქრისტინეც.

— შენ ამბობ ბალანაი კარგათ არის? კითხა ქრისტინემ კაი ხნის სიჩუმის შემდეგ.

— კი, კი ხომ გითხარი,—შეკავებულის სიბრაზით უპასუხა კოწიამ. ის ატყობდა, რომ ყველაფერი, რასაც ლაპარაკობდა ქრისტინე ოჯახის და შვილის თაობაზე, სრულიადაც არ იყო მისთვის საგულისხმიერო, და გული მოსდიოდა, მაგრამ, ცოლისთვის რომ არ შეემჩნევინებინა, ის დაეკითხა:—შენ, შენ ხომ კარგათ ხარ?

— მე, უკეთესათ რომ არ შეიძლება,—გაიცინა ქრისტინემ. ამ დროს გაიღო კირები და შიგ სალდათი შემოვიდა, დაუკრა თავი მხიარულათ კოწიას და ქრისტინეს გვერდში სკამლოგინზე ჩამოჯდა. კოწიამ ერობაშათ შესწყვიტა ჭამა, აენთო და რაღაც მკვდარის სახით დაუწყო ყურება ქრისტინეს. ქრისტინემ თითქო ვერაფერი შეამჩნია, აიღო ბოთლი, ჩაასხა პატარა ჭიქაში არაყი და მიაწოდა სალდათს.

— აჰა, დალიე. სალდათმა გამოართვა ჭიქა, დაუქნია თავი ორივე ცოლქმარს, ქრისტინეს გაუცინა და მხიარულათ გადაჰკრა. ჭიქა ისევ დადგა სტოლზე, დაიხარა და აიღო პურის ნატეხი. მოისმა ზარის წკარუნი, მან საჩქაროთ გაადგო პური, მოიწმინდა პირი და გაიქცა კარის გასაღებათ.

— არა, მაი რუსი რეიზა მოგიჯდა გვერდში?—უთხრა ქრისტინეს კოწიამ გულმოკლულათ და წყრომითაც. ქრისტი-

ნე მიხვდა, რომ გადააჭარბა და თითქოს გულნაკლულათ მიუგო:

— ეჰ, რას იზამთ! რა ქვეყანაშიც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დეიხუროო, ნათქვამია—მეც არ მიამება, მარა რა ვქნა. მაინც ხომ არ შემჭამს, რუსია თუ რაცხა კაცია. კოწიას ცოტა არ იყოს მოეშვა გულზე. მაგრამ მთლათ კმაყოფილი არ იყო არც ქრისტინეს პასუხით და არც მისი ყოფაქცევით. მას არ მოსწონდა, რომ ასე გალამაზდა და გასუქდა მისი ცოლი, არც მისი ბედნიერებით გაშუქებული თვალები, არც მისი თეთრი ხელები და მორთულობა.

— არა, მის დღეში აღარ გუუშობ ქალს ძიძათ—ფიქრობდა ის გულში—„ნენამ შემაცდინა“.

— აბა რავაც მოთბება, ჩამომიყვანთ ბალანას? ეკითხებოდა ქრისტინე კიბეზე მიმავალს კოწიას, უფრო იმიტომ რომე ეთქვა და ასე გულდაწყვეტილი არ გაეშვა ქმარი.

— კი, კი—უპასუხა კოწიამ უკან მოუხედავათ—ქრისტინეს ამ პასუხში ცრემლები მოესმა. მას ერთ წამს შეებრალა ქმარი და შერცხვა თავის უგულობისა. ერთ წამს უნდოდა ჩაერბინა კიბეზე, დასწეოდა, ენუგეშებინა ის, მაგრამ აღარ ჩაირბინა და მაღლა გაჩერებული გასცქეროდა ძირს თოვლიან ეზოში მიმავალ ძველი ჩოხით მოსილ მჭლე კაცის ცოტათი მოხრილ ფიგურას. ზევიდან თითქოს სიცილ-თამაშით აცვივდებოდა ფითქი თოვლი და აჭრელებდა მის გამხდარს შავით მოსილს ზურგს. როცა ის გავიდა ქიშკარში და მიიმალა, ქრისტინემ თავისუფლათ ამოისუნთქა და გამობრუნდა ოთახებისაკენ.

ნ. ნაკაშიძისა.

(შემდეგი იქნება).

წერილი რკინის გზიდან.

ამ ცხრა-ათი წლის წინეთ რკინის გზის მოსამსახურეებს დაგვიარსეს საპენსიო კასა, სადაც ყოველ თვე ჩვენი მცირე ჯამაგარის ნაწილს გვიჭირავდენ; კასის პირველ დაარსების წელიწადს 12 პროცენტს,და შემდეგში 6 პროც., რაიცა დიდი საგრძნობელი იყო ჩვენთვის.

ამასთანავე გამოგვიცხადეს: კასის დაარსებას გვაიძულებს თქვენი ჯამაგირის სიდიდე, რადგანაც არ უფრთხილდებით ამ მოჭარბებულ ფულს და დაუდევრათ ფლანგავთო!.. რადგანაც ყადრი არა გაქვთ, ამიტომ მშობლიური გულშემატკივრული გრძნობით ვცდილობთ, რომ აგაცილოთ ეს ფულის გადამეტებული ხარჯვაო. ამის საშუალებაც აღმოვაჩინეთ ხსენებული კასა, სადაც შაგენახებათ ცოტაოდენი ნაწილი ჯამაგირისა. თქვენთვის ეს ფული არაფერს შეადგენს და აქ კი კარგი თანხა შესდგება, საიდანაც დამსახურებულებს პენსია დაგენიშნებათო!.. (გესმით? არაფერს შეადგენს და პენსია კი გვენიშნება, მოწყალებაა რაღა!).

ჩვენ ამ წინადადებას სულგანაბული ვუგდებდით ყურს, რადგან ამ დადგენილების წინააღმდეგნი სამსახურს უნდა გამოვთხოვებოდით; მაგრამ გვაიმედებდა კიდევ ის, რომ სამსახურიდან გაგდებულს თუ თავათ გამსვლელს შეგვეძლებოდა, ეს კასაში მოგროვილი ჩვენი ფული უნაკლულოთ მიგვეღო; ხოლო ახლა სულ სხვა გამოირკვა: გამოირკვა, რომ ჩვენ მხოლოთ ამ ფულის ერთი მესამედი შეგვიძლია მივიღოთ, დანარჩენი ვითომც ცოლებისათვის უნდა ინახებოდეს ჩვენს სიკვდილამდის. რადგანაც ჩვენს მერე ცოლშვილის შიმშილი მოსალოდნელია, ამიტომ მაშინ ამ ფულიდან იმათ პენსია დაენიშნებათ; და თუ დღეს ცოლშვილთან ერთათ გვაწუხებს შიმშილი, ეს არაფერია, იმიტომ რომ მთლათ მოღებული ფულის დახარჯვას შიმშილი გვაიძულებს, და იქ კი კასაში გვენახება თუ ვინიცობაა დავით[illegible] საიქიოს გამოგვიგზავნიან. ასე ამ გვარ ცნობებს [illegible] იმ დროს, როდესაც სამსახურისგან ავათმყოფობით დაუძლურებულთ არამც თუ ჩვენი საკუთრება გვჭირია, არამედ შიმშილი გვიწვევს ქუჩაში ხელის გასაწვდელათ... მხოლოდ რკინის გზა კი ასე გვაჯილდოვებს იმის საკეთილდღეოთ ჯანღონე და სიცოცხლე განწირულებს.

ესეც იცოდეთ, რომ ჩვენი სიკვდილის შემდეგ ჩვენს ცოლშვილს წელიწადში რკინის გზიდან, ე. ი. კასიდან მიეცემა არა უმეტეს ხუთი მანათისა თვეში, რკინის გზა კი გვიჭერს ათს ან ოცს თუმანს ამ ხუთ მანათში.

აი სამართალი!

ი. ოქრუაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ.ბ. სერაპინან და ნოე რამიშვილებს პასუხათ «კვალის» 20 №-ში დასტამბულ წერილის გამო.

დიდის სიამოვნებით თანახმა ვარ მესამეჯერ სამედიატორო სასამართლოს არჩევისა ქვემო სურების შკოლის შენობის და სხვა ანგარიშების გასასწორებლათ. და გთხოვთ დაჩქარებით დაასახელოთ მედიატორები და მეც მის შესაფერ პირს დავასახელებ. რაც შეეხება უწინ დასახელებას, ჩემის მხრით უხერხულათ ვთვლი, რადგან დაშინებული ვარ, რომ ხელ-მეორეთ არჩეული არ იქნეს ჩვეულებრივათ თქვენის მხრით მღვდელი ლავრენტი ანუ ცრუ-ექიმა ბესო. მართალია წინანდელმა მედიატორეებმა არ დააბოლოვეს საქმე, მაგრამ მიზეზი იმათი საქმის დაუბოლოვებისა თქვენის მხრით იყო გამოწვეული და არა ჩემის მხრით.

ირაკლი ივანეს ძე რამიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ მცირე შენიშვნას გაზეთ „კვალის“ მახლობელ ნომერში:

18 მაისის თვის „კვალის“ მე-20 ნომერში მოთავსებულ კორრესპონდენციაში სათაურით: „აბაშის საზოგოება“, ავტორი ბ-ნი უ. ჯ-ი სხვათა შორის ეხება რკინის გზის სადგურ საჯავახოს უფროსს.

რადგან ამ ზემოხსენებულ სადგურის მართვა მაქვს მე მონდობილი თექვსმეტ მაისის თვიდან, ამიტომ მორჩილათ ვთხოვ ბ. ავტორს ზემოთქმულ კორრესპონდენციისას გამოაქვეყნოს ბეჭდვითი სიტყვის საშვალებით, თუ ვის ეხება მისი შენიშვნა: ყოფილს თექვსმეტ მაისის თვემდინ სადგურის უფროსს, თუ მე?

პატივცემულ რედაქციას ვთხოვ თავის მხრით გვაცნობოს, თუ რომელ რიცხვში არის მიღებული დასაბეჭდათ ხსენებული ავტორის წერილი, თექვსმეტ მაისამდინ, თუ უფრო გვიან?

სადგურ საჯავახოს უფროსი ვასილი ს. ბარკალაია.*)

24 მაისი 1903 წ.

„კვალის“ ფოსტა.

თეკლათის სავანის მორჩილს ონოფრე შუშანას: თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება, რადგან მეტათ უხერხული კილო და კიდევ უფრო უხერხული სიტყვები გაქვთ ხმარებული.

*) ხსენებული კორესპონდენცია რედაქციამ 16 მაისზე ადრე მიიღო. რედაქციას მოუვიდა აგრეთვე კორესპონდენცია, სადაც ბ. უ. ჯ—ი აღვიარებს, რომ მისი კორესპონდენცია არ ეხება სადგურის ახალ უფროსს.

რედ.

დრ. რედაქტორი ნ. ი. ალექსიევ-მესხიევი.
გამომცემელი ან. მ. თ.-წერეთლისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го іюня 1903 г. ✠ სტამბა ექ. ივ. ხელაძისა. ✠ Тип. Е. И. Хеладзе, Русскій базаръ, д. Арм. Дух. Семинаріи.